ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

7 მარტი ხუთშაბათი 1991 № 27 (11660)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

# მიმართვა

## შიდა ქართლისა და ქ. ცხინვალის ოსი მოსახლეობისადმი

**ჩვენი** ხალხებისთვის ამ მძიმე დღეებში მოგმართავთ თქვენ, ვინაიდან ყველაფერი, რაც ოსებსა და ქართველებს შორის ხდება, არა მარტო საერთო უბედურებაა, არამედ პირადი ტრაგედიაცაა თითოეული ჩვენთაგანისათვის. ქართველები და ოსები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ამ მიწაზე, ახლა ერთურთს ხოცავენ, ეომებიან გარეშე ძალის წაქეზებით, ვინაიდან ეს ძმათა მკვლელი ომი ვიღაცის იმპერიული ამბიციების დასაყრდენია. დღეს მთელ მსოფლიოს აღელვებს ქალაქ ცხინვალში შექმნილი სიტუაცია, როგორც ქართველი, ისე ოსი ლტოლვილების მდგომარეობა. სირცხვილი იქნება, თუ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით არ აღდგება მშვიდობა და კეთილგანწყობა ჩვენს ხალხებს შორის. ამის უპირველესი და აუცილებელი პირობაა ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიერ იარაღის ჩაბარება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, მათი სრული და უსიტყვო განიარაღება, რაც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ცხინვალი გამონაკლისი არ უნდა იყოს, შეიარაღებული დაჯგუფებები უნდა განიარაღდნენ. სამაგიეროდ, ჩვენ სრული ხელშეუხებლობის გარანტიას ვაძლევთ მათ, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება.

მეორე პრობლემა ქ. ცხინვალში კანონიერი ხელისუფლების შექმნაა. არ იქნება დაშვებული ე. წ. საოლქო უკანონო სტრუქტურების არსებობა. ცხინვალი გადაიქცევა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად. ოსებისათვის შენარჩუნებული იქნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, რომელიც მათ ოლქის არსებობის პერიოდში ჰქონდათ. ეს უფლებები კიდევაც გაიზრდება, გაფართოვდება და განმტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით იმ პირობით, რომ ცხინვალში დაბრუნდება ყველა ლტოლვილი, ქართველები და ოსები თანასწორი უფლებებით ისარგებლებენ, გარანტირებული იქნება მათი ხელშეუხებლობა, შრომითი მოწყობა და მშვიდი ცხოვრება შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე.

ამჟამად მთელს საქართველოში იქმნება ხელისუფლების ახალი სტრუქტურები — პრეფექტურა და მუნიციპალიტეტი, რომლებიც უნდა შეიქმნას ცხინვალშიც. ეს იხსნის ქალაქს ანარქიისაგან, შიმშილისაგან, კრიმინალური ელემენტების თარეშისაგან. ცხინვალში უნდა დაინიშნოს პრეფექტი, რომელსაც ექნება როგორც ქართველი, ასევე ოსი მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა. აგრეთვე უნდა ჩატარდეს მუნიციპალური არჩევნები, სადაც არჩეულ იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ ხალხის ნდობით. ამოუდექით მხარში პარლამენტს ამ საქმეში. ეს საშუალებას მოგვცემს უახლოეს მომავალში აღვადგინოთ მშვიდობა და სტაბილურობა.

ეს აგრეთვე დაგვეხმარება სტიქიური ბლოკადის შედეგების დაძლევაში, რაც წარმოიშვა გაფიცვების, პროტესტების, არასტაბილური მდგომარეობის შედეგად ტვირთის ტრანსპორტირების შეუძლებლობის, დივერსიების, ტერორისა და დამნაშავე ელემენტების თარეშის გამო.

მოვუხმოთ კეთილგონიერებას სანამ გვიან არ არის, ვინაიდან ჩვენი კონფლიქტი და სისხლისღვრა მხოლოდ ჩვენს მტერს აძლევს ხელს.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 4 მარტი.





5 მარტს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მცხოვრებ ოსთა მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა თბილისის ნაძალადევის რაიონის სპორტკომპლექს „შრომითს რეზერვებში“. მიტინგი გახსნა „ნაძალადეველთა საძმოს“ თავმჯდომარემ გიორგი სირბილაძემ, რომელმაც ოსი ეროვნების პირებს მოუწოდა შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ, სისხლიანი შუღლის შეწყვეტას.

— მესამე ძალისათვის, რომელიც ოსებსა და ქართველებს შორის ჩადგა, სულერთია ორივე ხალხის ბედი, — თქვა მან, — სულერთია ძმური თანაცხოვრების კარგი ტრადიციები, რომლებითაც ჩვენ მუდამ ვამაყობდით.

იგივე აზრი გაისმოდა მომდევნო გამოსვლებშიც.

6 მარტს კი იმავე სპორტკომპლექსთან დილიდანვე შეიკრიბნენ ოსი ეროვნების მოქალაქენი. ისინი, ვინც ცხინვალში სამშვიდობო მისიით ჩასვლის სურვილი გამოთქვა, 30-ზე მეტი იკარუსითა და სხვადასხვა მარკის ავტობუსებით გაემგზავრნენ ცხინვალისაკენ. გასვლის წინ გავესაუბრეთ ამ მისიის რამდენიმე მონაწილეს.

**თინათინ გოგოზოვა**, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ დისპეტჩერი:

— ბოლო უნდა მოეღოს ცხინვალში ექსტრემისტთა თარეშს, რასაც უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვება. მე მწამს, რომ ბოლოს და ბოლოს სამართლიანობა გაიმარჯვებს და სამაჩაბლოში სიმშვიდე დამყარდება. მე პირადად ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ჩვენი ჩასვლა ცხინვალში რაიმე სასიკეთო შედეგს უთუოდ გამოიღებს. ბატონ ზვიად გამსახურდიას გუშინდელმა გამოსვლამ „მოამბეთი“ კიდევ ერთხელ იმედი ჩაგვინერგა, რომ ქართველი და ოსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმობა ისევ აღდგება.

# ცხინვალში — მშვიდობის მისიით

**ხოსლან კაზიევი**, საავიაციო ქარხნის მუშა:

— თუ ჩვენი დღევანდელი ჩასვლა ცხინვალში შედეგს გამოიღებს, თავს ბედნიერად ჩავთვლიდი. ბოლოს და ბოლოს საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს, მჯერა, ერთი მუჭა ოსი ექსტრემისტები ვერაფერს გახდებიან თუ მათ მრავალრიცხოვანი მშვიდობისმოყვარე ოსი დაუპირისპირდება.

**შოთა ბერგაულოვი**, კონიაკის ქარხნის კომპრესორის მემანქანე:

— მე ცხინვალში მივდივარ იმ მისიით, რომ ოს მშრომელებს მივმართო: გონს მოდით, ძმებო, საქართველოს მიწა განუყოფელია. მინდა, მშვიდობა ჩამოვარდეს საქართველოს ძირძველ მიწაზე.

**გაბრიელ ქოზაშვილი**, საწარმოო გაერთიანება „ტაქსომოტორების“ მძღოლი:

— როდემდე გაგრძელდება ასე? — ეს კითხვა აღელვებს დღეს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს საქართველოში. მჯერა პატიოსანი მშრომელი ოსი მოქალაქენი არასდროს უჭერდნენ და არც არასოდეს დაუჭერენ მხარს ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსულ ექსტრემისტთა თარეშს. იმედი მაქვს, რომ ჩვენი დღევანდელი ვიზიტი ცხინვალში შედეგს გამოიღებს.

**სურათებზე:** ცხინვალში გამგზავრების წინ.

**ოლეგ გველესიანის ტექსტი და ფოტო.**





# ვითარება ცხინვალში

სულ უფრო გამომწვევი და თავხედური ხდება ოსი ექსტრემისტების, განსაკუთრებით კი სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ბანდების თავდასხმები საქართველოს მილიციასა და სამაჩაბლოს ქართულ მოსახლეობაზე.

5 მარტის საღამოს 11 საათიდან 6 მარტის დილის 6 საათამდე ისინი ავტომატს და ტყვიამფრქვევს უშენდნენ საქართველოს მილიციის საგუშაგოებს ცხინვალის შესასვლელში და სოფელ თამარაშენს.

მართალია, საკავშირო პრესა და ტელევიზია ყოველნაირად ცდილობენ, რომ მიჩქმალონ სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნაწილებზე ოსი ექსტრემისტების თავდასხმის ფაქტები, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გაექცევი. 6 მარტს შინაგანი ჯარის ნაწილებს მთელი ღამის განმავლობაში ცეცხლს უშენდნენ ქალაქ ცხინვალის სტადიონიდან. ცხინვალში კი, როგორც ცნობილია, არც ქართული მილიცია და არც ქართველი „ბოევიკები“.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრი**

საქინფორმი

**1991 წლის 8 მარტს, პარასკევს, დღის ორ საათზე საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სხდომათა დარბაზში უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისია აწყობს შეხვედრას ჟურნალისტებთან. განიხილება პრესის შესახებ კანონპროექტისა და რეფერენდუმის საკითხები.**

**დასწრება თავისუფალია.**

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა პრეფექტად დანიშნა

ქ. ბათუმში — ტარიელ ალექსანდრეს ძე ფუტკარაძე

ქ. ჭიათურაში — ნოდარ გრიგოლის ძე აბჟანდაძე

ახმეტის რაიონში — ივანე თედოს ძე ტურაშვილი

ონის რაიონში — ოქროპირ ავთანდილის ძე ნავროზაშვილი

სენაკის რაიონში — ბათუ ალექსანდრეს ძე კანკავა

ქედის რაიონში — სანდრო ნიაზის ძე ბერიძე

ხელვაჩაურის რაიონში — ბესარიონ ილიას ძე ბიბინეიშვილი

ხულოს რაიონში — ბექან ისუფის ძე გოგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# თბილისის უნივერსალური ბირჟა—მომავალი „ეკონომიკური ამინდის“ ბარომეტრი

„ომის პერსპექტივამ შუა აღმოსავლეთში და ტანკების შეჭრის რეალობამ ლიტვაში გამოიწვია მსოფლიო ბირჟებზე აქციების კურსის დაცემა... აქციების ღირებულება გერმანიის ბირჟებზე საშუალოდ 3,9%-ით, საფრანგეთის—3,6%-ით, იტალიის—3,1%-ით, ევროპაში უდიდესი ლონდონის ბირჟაზე — 1,2%-ით დაეცა... ამერიკის 30 წამყვანი კომპანიის დოუ-ჯონსის ინდექსი 2%-ით და მეტად შემცირდა“. ასე იწყება მსოფლიოს ბიზნესის წრეებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ამერიკული გაზეთის „უოლ სტრიით ჯორნელ“-ის 15 იანვრის მოწინავე. ძალზე ხშირად მასობრივი ინფორმაციის წყაროების საშუალებით ვღებულობთ მსგავს მონაცემებს მსოფლიოს წამყვანი ბირჟებიდან, როგორც რომელიმე არაორდინალური პოლიტიკური მოვლენის შედეგად გამოწვეულ რეზონანს ეკონომიკური საქმიანობის სფეროში. ჩვენი მკითხველისათვის ხშირად გაუგებარია აღნიშნული ხასიათის ინფორმაციის შინაარსი, ვინაიდან მსგავსი რამ ჩვენში დღეს არ არსებობს, მაშინ, როდესაც განვითარებული საბირჟო მექანიზმის გარეშე თანამედროვე დასავლური სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციონირება წარმოუდგენელია. ამაზე თუნდაც შემდეგი მონაცემები მეტყველებენ. 80-იანი წლების ბოლოს მხოლოდ აშშ და იაპონიის საფონდო ბირჟებზე კოდირებული ყველა აქციის ჯამურმა საბაზრო ფასმა 5 ტრილიონ დოლარს მიაღწია, ხოლო წლიურმა ბრუნვამ — 4 ტრილიონს, ანუ აქციების პრაქტიკულად 80%-მა გამოიცვალა მფლობელი. მსოფლიო ვაჭრობის სტაბილიზაციაში უდიდეს როლს თამაშობენ ჩიკაგოს, ლონდონის, ტოკიოს და პარიზის ბირჟები. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბირჟო შუამავლების (ბროკერების) ზეგავლენა საფინანსო რესურსების მობილიზაციასა და გადანაწილებაში. 1988 წლის დასაწყისში თორმეტ ამერიკელ ბროკერს ჰქონდა საკუთარი კაპიტალი, რომელიც ერთ მილიონ დოლარს აღემატებოდა. შემთხვევითი არაა ის, რომ დასავლეთში ბირჟები ეკონომიკური აქტიურობის, „ეკონომიკური ამინდის“ ნამდვილ „ბარომეტრს“ წარმოადგენენ.

მისასალმებელია, რომ ჩვენშიც, როგორც იტყვიან, ყინული თითქოს დაიძრა, და სულ მალე თბილისში დაიწყებს თავის ფუნქციონირებას თბილისის უნივერსალური ბირჟა, რომლის ძირითადი ამოცანა იქნება სავაჭრო ოპერაციების განხორციელება საქონლით, ნედლეულით, საფონდო ფასეულობებით და ვალუტით. ბირჟის შექმნა დიდად შეუწყობს ხელს საბაზრო ურთიერთობების განვითარებას და მათი ეკონომიკური მეთოდებით რეგულირებას, საქართველოს საქონლით მომარაგებას და ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას, პრივატიზაციის პროცესის განხორციელებას, ვალუტის ბაზრის შექმნას და განვითარებას.

როგორც ცნობილია მსოფლიო პრაქტიკიდან ბირჟას სახელწოდებას აძლევს ის ქალაქი, სადაც იგი იქმნება (მაგალითად: ნიუ-ორკის, ლონდონის, ჩიკაგოს და სხვა ბირჟები), მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბირჟა მხოლოდ ვიწრო რეგიონს ემსახურება. რაც უფრო ფართოა ბირჟის კავშირები, მით უფრო ძლიერ ფუნქციონირებად სისტემას წარმოადგენს ბირჟა. სწორედ ამიტომ თბილისის ბირჟამ გააერთიანა და აერთიანებს თავის რიგებში არა მარტო თბილისის, არამედ რესპუბლიკის და მის ფარგლებს გარეთ მყოფი (ბალტიისპირეთის, უკრაინის, მოსკოვის და სხვ.) სახელმწიფო საწარმოებს, გაერთიანებებს, ერთობლივ საწარმოებს, კოოპერატივებს, საკომერციო ფირმებს და ინდივიდუალურ პირებს.

თბილისის უნივერსალური ბირჟის დამფუძნებლებს სწამთ წარმატების გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო. უპირველეს ყოვლისა თბილისის უნივერსალური ბირჟის დამფუძნებელთა საორგანიზაციო კომიტეტი აერთიანებს მაღალკვალიფიციურ ეკონომისტ-თეორეტიკოსებს, მენეჯმენტის სპეციალისტებს, ფინანსისტებს, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ როგორც დასავლეთის, აგრეთვე საკავშირო ბირჟების ფუნქციონირების მექანიზმი. თბილისის უნივერსალურ ბირჟას საშუალება ექნება საინფორმაციო სისტემებით დაუკავშირდეს და გაცვლითი ოპერაციები აწარმოოს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში და სხვა ქალაქებში შექმნილ ბირჟებთან. თბილისის ბირჟას გათვალისწინებული აქვს გახსნას თავისი ფილიალები და წარმომადგენლობები საქართველოს მსხვილ ქალაქებში და აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. დამყარებულია კონტაქტები ჩიკაგოს, პარიზის, ჟენევის და ფრანკფურტის ბირჟების ხელმძღვანელობასთან, რომელთა მხრიდან გამოითქვა გარკვეული დაინტერესება ურთიერთთანამშრომლობაში. ბირჟის დაარსების პირველივე დღიდან გათვალისწინებულია დიდი ყურადღება მიექცეს ბირჟის წევრების თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, ბროკერებისათვის მოეწყობა სპეციალური სასწავლო კურსი, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მსმენელებს მიეცემა თბილისის უნივერსალური ბირჟის სპეციალური სერტიფიკატი. სასწავლო პროცესში დაგეგმილია დასავლეთის საბირჟო საქმის წამყვანი სპეციალისტების მოწვევა და აგრეთვე მსმენელთა საზღვარგარეთ სტაჟირებაზე გაგზავნა. და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აქციონერები იქნებიან უზრუნველყოფილი ნაყოფიერი მუშაობისათვის ყველა პირობებით. ბროკერების განკარგულებაში იქნება დასახული ინფორმაციის სრული სისტემა გასაყიდ და შესაძენ საქონელზე და მომსახურებაზე, ფასიან ქაღალდებზე და ვალუტაზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ბირჟის აპარატი უზრუნველყოფს კომერციულ, იურიდიულ, სააუდიტორო და სხვა მომსახურებას, რაც აუცილებელი იქნება საბირჟო გარიგების დროს. ბირჟის ნორმალური ფუნქციონირების შემთხვევაში აქციონერები საგრძნობ მოგებას მიიღებენ, როგორც აქციის საბაზრო ღირებულების ზრდისაგან ნომინალურ ფასთან შედარებით (მაგალითად, რუსეთის სასაქონლო-სანედლეულო ბირჟებზე აქციის ღირებულება ნომინალურთან შედარებით 3-4-ჯერ გაიზარდა), აგრეთვე დივიდენდის (აქციაზე მოგების) სახით.

ვის შეუძლია გახდეს თბილისის უნივერსალური ბირჟის წევრი? თბილისის უნივერსალური ბირჟა იქმნება სააქციო საზოგადოების ფორმით და მისი წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირი. ამისათვის აუცილებელია თბილისის უნივერსალური ბირჟის აქციის შეძენა, რომლის ნომინალური ღირებულება 100.000 მანეთია. გაწევრიანებისათვის პირველი შესატანი შეიძლება იყოს 30.000 მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხა დაიფაროს წლის განმავლობაში. ბირჟის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება 20.000.000 მანეთის ოდენობით. დამფუძნებელთა საბჭო იტოვებს უფლებას არგუმენტირებული უარი უთხრას აქციის შეძენის მსურველს.

აქციის მფლობელებს ეძლევათ შემდეგი უფლებები: მიიღოს მონაწილეობა ბირჟის მართვაში და არჩეულ იქნას მის ხელმძღვანელ ორგანოებში; აწარმოოს საბროკერო საქმიანობა და ისარგებლოს ბირჟის საკონსულტაციო, ტექნიკური და საინფორმაციო სისტემებით; მიიღოს დივიდენდი. თბილისის უნივერსალურ ბირჟაზე შეგიძლიათ შეიძინოთ უბრალო და პრივილეგირებული აქციები. პრივილეგირებული აქცია მიეყიდება მხოლოდ უბრალო აქციის მფლობელს და იგი უზრუნველყოფილია ფიქსირებული დივიდენდით.

თბილისის უნივერსალური ბირჟა მიზნად ისახავს „თბილისის სავალუტო და სასაქონლო ბირჟის“ საუკეთესო ტრადიციების აღდგენას, რომელმაც ჯერ კიდევ დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში დაიწყო ჩამოყალიბება და საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმდროინდელ საქართველოს ეკონომიკაში.

ბირჟის აღორძინებას თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკურ ვითარებაში ენიჭება კიდევ ერთი პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ფუნქცია. თუ გავითვალისწინებთ მანეთის კურსის არასტაბილურობას, ინფლაციის პროცესის ზრდას და მომავალი საკავშირო რეფორმების „სიურპრიზებს“, ბირჟა შეიძლება გახდეს თქვენი დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების დაბანდების საუკეთესო ფორმა.

**დამფუძნებელთა საბჭო**

გთხოვთ იჩქაროთ, ვინაიდან მსურველთა რიცხვი უკვე ბევრად აღემატება დამფუძნებელთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ რაოდენობას და საორგანიზაციო კომიტეტი იხილავს თბილისის უნივერსალური ბირჟის აქციების ფასის გაზრდას და საკომერციო ფასებში გაყიდვას.

ჩვენი მისამართია: **კონსტიტუციის მოედანი, სასტუმრო „აჭარა“, I სართული. ტელ.: 36-90-89, ანგარიში № 609000851, მფო 805227 საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რესპუბლიკურ ბანკში, სააქციო საზოგადოება „თბილისის უნივერსალური ბირჟა“.**

# ღია წერილი

## ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს

ბატონო ჯუმბერ!

ვფიქრობ, შენიშნული გექნებათ, რომ ამ უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით კი საქართველოში უზენაესი საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევნების ჩატარების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა განუხრელად აძლიერებს თავის აგრესიულ მოქმედებას საქართველოს მიმართ. სხვა ფაქტებს რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მოქმედება ცხინვალსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, რომელიც მიმართულია როგორც ქართველი მოსახლეობის, ისე საქართველოს საერთო ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, ანტიქართულ ღონისძიებათა ესკალაციის პროცესის ნათელი ილუსტრაციაა. გარდა ამისა, ხდება დიქტატურის გამკაცრება და გაძლიერება საბჭოთა კავშირში საერთოდ და ეჭვი არაა, რომ ამ დიქტატურის შედეგები პირველ ყოვლისა საქართველოს წინააღმდეგ იქნება მიმართული. გაძლიერებული ანტიქართული კამპანია საბჭოთა კავშირის პრესასა და ტელევიზიაში, აგრეთვე დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის წინაშე საქართველოს დისკრედიტაციისკენ მიმართული დეზინფორმაცია, რასაც ინფორმაციის საკავშირო ორგანოები ახორციელებენ, სხვაგვარად ვერ იქნება გაგებული, თუ არა როგორც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ახალი რეპრესიებისათვის იდეოლოგიური საფუძვლის მომზადება. ყოველივე აღნიშნული იმას მეტყველებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთი მსხვილმასშტაბიანი სისხლიანი აქცია მზადდება.

თქვენ ერთი იმათგანი ხართ, ვისაც ყველაზე უფრო ფართო და ყველაზე უფრო სარწმუნო ინფორმაცია აქვს ხელთ 1989 წლის 9 აპრილის მასობრივი ჟლეტის ორგანიზაციისა და ამ ორგანიზაციაში პირადად მ. გორბაჩოვის როლის შესახებ. თქვენი ობიექტური და სრული ჩვენების გამოქვეყნებით დღეს შესაძლოა ის საშუალება აღმოჩნდეს, რომელიც საქართველოს ახალი სისხლისღვრისაგან იხსნის. თქვენს შოვალეობად მიმაჩნია ამგვარი ჩვენების მიცემა და დაუყოვნებლივ გამოქვეყნება.

**ნოდარ ნათაძე,**
**საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, 9 აპრილის გარემოებათა გამომძიებელი საპარლამენტო კომისიის წევრი.**

# წერილები „ახალგაზრდა ივერიელს“

ამ წერილს გწერთ 3 წლის ბექა დარბაიძის მშობლები.

საქმე ისაა, რომ ჩვენი შვილი 11 თვიდან ავადაა. იგი განუწყვეტლივ მკურნალობისა და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა. მაგრამ ყველაფერი უშედეგოა, დღეს თუ ხვალ მისთვის აუცილებელი გახდება თირკმელების გადანერგვა. დამეთანხმებით, რომ ამ ურთულესი ოპერაციის გაკეთება საბჭოთა კავშირში არასაიმედოა და საჭირო იქნება მისი საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში წაყვანა.

ჩვენი აზრით, ნამდვილად აუცილებელია ისეთი ფონდის შექმნა, რომელიც დაეხმარება მძიმე ავადმყოფ ბავშვებს საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრებაში. ეს არა მარტო ჩვენი, არამედ ყველა ადამიანის სურვილი იქნება, რამეთუ, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრია ისეთი ბავშვი, რომელსაც მსგავსი მკურნალობა ესაჭიროება, რესპუბლიკაში კი ნამდვილად არ არის იმდენი ვალუტა, რომ ეს ბავშვები დაკმაყოფილდნენ და გაიგზავნონ სამკურნალოდ საზღვარგარეთ.

თქვენი გაზეთის 21 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს ინვალიდ და ავადმყოფ ბავშვთა დახმარების ხაზინის საინიციატივო ჯგუფის მიმართვაში წამოყენებულ წინადადებას იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის მუშამოსამსახურეთა ხელფასიდან ყოველთვიურად თუნდაც ერთი მანეთი გადაირიცხოს ავადმყოფ ბავშვთა დახმარების ფონდში, ჩვენ ვიწონებთ. ამის გარდა, კარგი იქნება, თუ ჩვენი პოეტები, მწერლები, მეცნიერები, ჟურნალისტები და სხვა პროფესიის ადამიანები ამ ფონდში გადარიცხავენ თითო ლექსის, მოთხრობის ან წერილის ჰონორარს. აგრეთვე, იმედია, დახმარების ხელს გამოგვიწვდიან დიდი საწარმოები, ორგანიზაციები, ქარხნები, ფაბრიკები, ცნობილი სპორტსმენები. მათ შეუძლიათ ვალუტაც კი გადარიცხონ ამ ფონდის ანგარიშზე.

ამრიგად, აუცილებელია სპეციალური ფონდის შექმნა და ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად. უნდა გაიხსნას ბანკში ანგარიში და ანგარიშის ნომერი გამოცხადდეს პრესისა და ტელევიზიის საშუალებით, რომ მსურველებს შეეძლოთ თანხის გადარიცხვა. ამასთან, წინადადება გვაქვს, შეიქმნას სპეციალური კომპეტენტური კომისია ჯანმრთელობის დარგის ცნობილი სპეციალისტების მიერ, რომლებიც ავადმყოფების ისტორიების შესწავლის შედეგად საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასამგზავრებლად რეკომენდაციას გაუწევენ იმ ბავშვებს, რომლებსაც ეს ნამდვილად სჭირდებათ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა მხარს დაუჭერს ამგვარი ფონდის შექმნას და ამით გამოხატავს ზრუნვას თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი მოქალაქეებისადმი.

**მაია და ბადრი დარბაიძეები.**

**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ საქართველოს ინვალიდ და ავადმყოფ ბავშვთა დახმარების ფონდში.**

●

აფხაზეთში გამომავალ საქართველოს სახალხო ფრონტის გაზეთ „ოქროს საწმისის“ ერთ-ერთ ნომერში აღნიშნული იყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში, სტავროპოლის მხარეში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ქართველები, უმთავრესად სვანები, რომელთა უმრავლესობას ეროვნება და გვარი გამოცვლილი აქვთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისი ქართველობა მაინც არ დავიწყებიათ.

ალბათ, ბევრი მოისურვებს დაუბრუნდეს მშობლიურ ფესვებს. კარგი იქნება, თუ საზოგადოება ლემი, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება ხელს შეუწყობენ მათ ჩამოსახლებას სამშობლოში. ისინი უმთავრესად უნდა დასახლდნენ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობის (უმთავრესად სვანების) ჩასახლება ხდება. თუ მოისურვებენ, დავეხმაროთ მათ ბინების გაცვლაში ან იქ გაყიდული ბინის ნაცვლად აქ ბინის შეძენაში. როგორც ამბობენ, მარტო მოცემულ რაიონში 18 ათასამდე ქართველი ცხოვრობს. ვინც ვერ შეძლებს დაბრუნებას, შევუწყოთ ხელი, ყოველმხრივ დავეხმაროთ ეროვნებისა და გვარის აღდგენაში, ქართული ენის შესწავლაში.

საჭიროა ყველა ქართველს დაუბრუნდეს ეროვნება და გვარი.

გთხოვთ, რაც შეიძლება მალე დაიწყოს ამ საშვილიშვილო საქმის კეთება.

მისახედია ისტორიულ ოსეთში, ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები 12 ათასამდე ქართველიც. ასე რომ, დროა მივხედოთ ჩვენს თავს, ქართველებო.

**არჩილ ჯგერენაია,**
**სოხუმი.**

●

მე ეროვნებით ოსი ვარ, დავიბადე და გავიზარდე საქართველოში (რუსთავში), მყავს ქართველი დედა, რომელმაც მშობა და გამზარდა, მყავს ქართველი მეუღლე — ოთხი შვილის დედა, მყავს ქართველი და ოსი მეგობრები, ამხანაგები და ნათესავები, რომელთაც პატივს ვცემ და, რომელნიც ასეთივე განწყობით არიან ჩემს მიმართ. ასეთივე მდგომარეობაში არის ოსების უდიდესი ნაწილი.

ჩვენ უნდა ვიბრძოდეთ ქართველების მხარდამხარ ჩვენი სამშობლოს დასაცავად, იმ სამშობლოსი, რომლის გულისთვისაც მრავალი ათეული საუკუნე იბრძოდა ქართველი ერი ხმლით, კალმით და ჯვრით ხელში.

საქართველოში მცხოვრებო ოსებო, მოგიწოდებთ ყველას, წინ აღვუდგეთ ცენტრის მიერ გონებამღვრეულ იმ ერთ მუჭა ექსტრემისტებს, რომელთაც არ გააჩნიათ არაფერი ადამიანობისა, ბოლო მოვუღოთ მათ თარეშს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში. ისინი არამარტო საქართველოს მტრები არიან, ისინი უპირველესად ჩვენი მტრები არიან, მათი მოთავენი მთელის სიმკაცრით უნდა დაისაჯონ.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს.

**თამაზ ბათიკუვი,**
**რუსთავი.**

მოსაზრება აქტუალურ საკითხზე

# როგორ დავამტკიცოთ ჩვენი სიმართლე

**საზოგადოებრივი** აზრი რომ უდიდესი ფაქტორია თანამედროვე მსოფლიოში, ამას მგონი არ სჭირდება მტკიცება. ყველა ვხედავთ, რომ თვით უძლიერესი ზესახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ მათთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად. ამ მიზნით ასტრონომიული ხარჯების გაღებასაც კი არ ერიდებიან. რაც შეგვეხება ჩვენ — მცირერიცხოვან, ღვთისგან მიტოვებულ ერს, თუ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი არ მოგვემხრო, უბრალოდ დავმარცხდებით — ვერ შევძლებთ ვერც განთავისუფლებას და ვერც საქართველოს მთლიანობის დაცვას.

დღესდღეობით საზოგადოებრივი აზრი — როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო დონეზე — აშკარად არ არის ჩვენს მხარეს, რასაც განსაკუთრებით ეთნოკრიზისების გამწვავებისას ვგრძნობთ ხოლმე. რატომ შეიქმნა ამგვარი ვითარება? განა ჩვენი ერის მოთხოვნებში — თავისუფლება და ტერიტორიული მთლიანობა — არის რაიმე უსამართლო? — ეს კითხვა ჩვენ უამრავჯერ დაგვისვამს და პასუხიც უამრავჯერ გაგვიცია: ცხადია, არა! მაშ რატომ არ გვიჭერს მხარს არც საკავშირო და არც საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი? ამ კითხვაზეც ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად ვპასუხობთ: საქართველო სრული სუვერენიტეტისათვის იბრძვის, ხოლო აფხაზები და ოსები „განახლებულ ფედერაციაში" გაწევრიანებას ელტვიან. ბუნებრივია, რომ კრემლს ჩვენი პოზიცია გულზე არ ეხატება, აფხაზ-ოსებისა კი მოსწონს. ამიტომაც ცდილობს და აღწევს კიდეც კრემლი მთელს მსოფლიოში ქართველი ხალხის მოძრაობისათვის სახელის გატეხას.

ამგვარი შეხედულება, რა თქმა უნდა, შეიცავს სიმართლეს, მაგრამ არა — სრულს. როცა ყველაფერს მხოლოდ კრემლს ვაბრალებთ, ჩვენ ნახევრად სიმართლეს ვამბობთ. სრული სიმართლე კი ის არის, რომ კრემლთან ერთად ჩვენს ინტელიგენციასაც მიუძღვის ბრალი. ჩვენი ინტელიგენცია რომ ეფექტიანად იბრძოდეს საკავშირო და მსოფლიო საზოგადოებრიობის დასარწმუნებლად, ჩემის ღრმა რწმენით, უსათუოდ მიაღწევდა საწადელს. მაგრამ ჩვენ იმდენად უხეიროდ, მოუქნელად, უნიჭოდ ვირჯებით, ხოლო მოპირისპირე მხარე — სეპარატისტები — იმდენად მარჯვედ, დიპლომატიურად, მოქნილად (როცა საჭიროა გაქნილადაც), რომ კრემლისგან სრული ნეიტრალიტეტის დაცვის შემთხვევაშიც კი, დარწმუნებული ვარ, ვერ შევძლებდით მსოფლიოსთვის გვემცნო ჩვენი სიმართლე.

იმისათვის, რომ საკავშირო და მსოფლიო პროგრესული საზოგადოებრიობა მივიმხროთ, არ კმარა გაუთავებელი წუწუნი კრემლის ხრიკებზე. საჭიროა ხელის გამოღება: ჩვენ უნდა განვახორციელოთ პოლიტიკურ, დიპლომატიურ, იურიდიულ აქციათა მთელი კომპლექსი; უფრო ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ პუბლიცისტიკა და ორატორული ხელოვნება; უნდა ვიბრძოლოთ პოლიტიკური ცხოვრების კულისებსა და ლაბირინთებში; უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ — საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ იბრძვიან მხოლოდ რეაქციული ძალები, თუმცა ზოგჯერ დემოკრატებად შენიღბულნი და ჩვენ უნდა შეგვეძლოს მათი მხილება, ნიღბების ჩამოგლეჯა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენ უკვე დიდი ხანია სამკვდრო-სასიცოცხლოდ დავუპირისპირდით რუსეთის რეაქციულ ძალებს, რუსეთის ჭეშმარიტად დემოკრატიულ ძალებთან კი მტკიცე კონტაქტების არსებობა არ იგრძნობა. ეს დიდი ხარვეზია, რაც უსათუოდ უნდა გამოსწორდეს. თვით ფაქტი მთელი საბჭოეთის დაქსაქსულ დემოკრატიულ ძალებთან ალიანსისა აამაღლებს ჩვენს ავტორიტეტს.

ახლა უფრო კონკრეტულად იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები უნდა დავუპირისპიროთ საკავშირო პრესისა თუ ტელევიზიის მორიგ პროვოკაციებს, მიმართულს ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის სადისკრედიტაციოდ (ამგვარი პროვოკაციები კიდევ მრავლად იქნება).

თუ მივიჩნევთ, რომ საქმე გვაქვს ნამდვილი დიდი მასშტაბის პროვოკაციასთან (ყველა გამოხდომაზე რეაგირება, ალბათ, არ ღირს), პირველყოვლისა უნდა შევქმნათ ოფიციალური პასუხი, გავუგზავნოთ პრესის შესაბამის ორგანოს თუ ტელევიზიას და კატეგორიულად მოვითხოვოთ გამოქვეყნება ყოველგვარი კუპიურების გარეშე. ამ მოთხოვნას, ალბათ, არ დააკმაყოფილებენ. მაშინ უნდა გავმართოთ დიდი დემონსტრაცია და მიტინგი, ხოლო თუ ანტიქართული პუბლიკაცია შეიცავს შეურაცხყოფას ან ცილისწამებას ქართველი ერის მიმართ (პრეცედენტები ამის უკვე მრავალი იყო და, უთუოდ, კვლავაც იქნება), უნდა აღვძრათ სარჩელი სასამართლოში. თუ ვერც ამ გზით მივაღწიეთ საწადელს, უნდა მოვახდინოთ პრესის აღნიშნული ორგანოს გავრცელების ბლოკირება ან ცენტრალური ტელევიზიის პროგრამის ტრანსლაციის ჩახშობა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამ აქციათა განხორციელებისას სრულიად კონკრეტულად და ხაზგასმით უნდა აღვნიშნავდეთ, რომ მოვითხოვთ მხოლოდ ერთს: საპასუხო მასალის გამოქვეყნებას პრესის იმ ორგანოში (ან ტელევიზიის იმ პროგრამით), რომელმაც ჩვენი აზრით დეზინფორმაცია გაავრცელა საქართველოზე.

ჩვენი ამგვარი პოლიტიკა საკმაო უხერხულობას შეუქმნის ცილისმწამებლებს; დღეს ყველა გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია თავს დემოკრატიულს უწოდებს, ამიტომ მათ გაუჭირდებათ ჩვენი მოთხოვნისთვის რაიმე არგუმენტის დაპირისპირება. მთელი ამ მცდელობის მიუხედავადაც რომ არ გამოქვეყნდეს ჩვენი პასუხები საკავშირო პრესასა და ტელევიზიაში, მიზანი ნაწილობრივ მაინც მიიღწევა: საკავშირო და საერთაშორისო საზოგადოებრიობას აღარ შეექმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველები ვდუმვართ, რადგან სათქმელი არაფერი გვაქვს (დუმილი ხომ თანხმობის ნიშანია!), რომ საქართველო მართლა „მცირე იმპერიაა", ხოლო ქართველები მცირერიცხოვან ხალხთა ხორცით ვცხოვრობთ.

ამ აქციების პარალელურად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმ გამოცემათა თუ კონკრეტულ მოღვაწეთა სადისკრედიტაციოდ, რომელნიც ჩვენი ერის დისკრედიტირებას ცდილობენ. ქართული ეროვნული მოძრაობის ავტორიტეტს განსაკუთრებით იმ ჟურნალ-გაზეთებისა და პიროვნებების ცილისწამება აყენებს ჩრდილს, რომელთაც დემოკრატების ავტორიტეტი აქვთ. სინამდვილეში ისინი, ცხადია, არ არიან დემოკრატები (დემოკრატი განა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ გაილაშქრებს და იმპერიის „განახლების" მომხრეებს ამოუდგება მხარში!) და ჩვენ უნდა შევძლოთ მათი მზის სინათლეზე გამოყვანა.

ქვემოთ უზოგადესად დავახასიათებ ერთ ძალიან ცნობილ „დემოკრატს" და მკითხველისათვის თვალსაჩინო გახდება, რომ იგი და მისნაირი „დემოკრატები" შიშველ მეფეებს წარმოადგენენ — სრულიადაც არ არის ძნელი მათი მხილება.

ცნობილია, რაოდენ უსინდისო, ანტიქართული პუბლიკაციები უძღვნა სამაჩაბლოს კონფლიქტს ყოველკვირეულმა „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ", რომელსაც რედაქტორობს ცნობილი „კონიუნქტურშჩიკი", სადღეისოდ დროის „კარნახის" კვალობაზე ლიბერალად და ჰუმანისტად შენიღბული ეგორ იაკოვლევი. „მოსკოვსკიე ნოვოსტისა" და მის რედაქტორს მთელს მსოფლიოში აქვთ შექმნილი დადებითი იმიჯი. ამიტომ არის ყოველკვირეულის პუბლიკაციები ჩვენთვის განსაკუთრებით საზიანო და ამიტომ ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა იაკოვლევის სამხილებლად, მისი ნამდვილი სახის წარმოსაჩენად. ე. იაკოვლევი ჟურნალისტთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც „ზასტოის ბულბულებს" ეძახიან, რომელნიც ათწლეულების მანძილზე უგალობდნენ „ზასტოის" „დიდ იდეალებს". ცხადია, კაცს შეიძლება მოუვიდეს შეცდომა, ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთზე მცდარი ორიენტირები აირჩიოს, მერე კი მიხვდეს და მობრუნდეს პირით ჭეშმარიტებისაკენ. ესეთი ადამიანები საკმაოდ გვხვდებიან და მათ ვერ წავუყენებთ ზნეობრივ ბრალდებებს. მაგრამ ე. იაკოვლევი და მისნაირნი (მაგალითად, ვიტალი კოროტიჩი) არ განეკუთვნებიან დაბნეულ, გულწრფელად შემცდარ ადამიანთა კატეგორიას და აი, რატომ: ჯერ ერთი იაკოვლევ-კოროტიჩთა „გამოფხიზლება" და „გადემოკრატება" ზუსტად დაემთხვა „გლასნოსტისა" და „ახლებური აზროვნების" „ზემოდან" დაშვებას, ანუ იმ დროს, როცა დემოკრატის სახელი გახდა ძალიან პრესტიჟული და აბსოლუტურად უსაფრთხო. მეორეც, განა ე. იაკოვლევი როდისმე ცდებოდა?! ერთ პუბლიკაციაში მას წამოსცდა, რომ „იზვესტიაში" მისი ორათეულწლოვანი თანამშრომლობის დროს რედაქტორი ალექსეევი «требовал «духоподъемных» статей. И мы писали их без радости и вдохновения, порой с омерзением но писали. А по коридорам редакции носилась присказка, здесь и придуманном: «Все, что главный не любит, мы ненавидем».

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველგვარი ტირანიის საყრდენებს, ბურჯებს წარმოადგენენ მედროვე, აბსოლუტურად უპრინციპო, სულით მეძავი ადამიანები, სწორედ ე. იაკოვლევის მსგავსნი, რომელთაც შეუძლიათ ათწლეულების მანძილზე წერონ, ამტკიცონ ის, რაც არ სწამთ, რომელნიც „ზემოდან" წამოსულ მოთხოვნას ზედმეტი გულმოდგინებით ასრულებენ («Все, что главный не любит, мы ненавидим») და რაკი თვით ე. იაკოვლევმა გამოუცხადა ომი საქართველოს, მის თავისუფლებასა და ტერიტორიულ მთლიანობას, განა ჩვენ არ უნდა ჩავჭიდებოდით მის „შემოქმედებას" და არ უნდა გამოგვეჩინა საქვეყნოდ ე. იაკოვლევის ნამდვილი პორტრეტი?

ეს კაცი დღესაც ნამდვილი დემოკრატიისა და ნამდვილი სიმართლის წინააღმდეგ იბრძვის. დემოკრატთა ბანაკში იგი, ისევე, როგორც მრავალი მისნაირი, ციხის შიგნიდან გამტეხებად გვევლინებიან. ჩვენ შეგვიძლია უსასრულოდ მოვიტანოთ მაგალითები იაკოვლევისგან ნახევრადსიმართლის ქადაგების და მისი ფსევდოდემოკრატობისა. აი, მხოლოდ ერთი მაგალითი: „მოსკოვსკიე ნოვოსტის" სწორედ იმ ნომერში, რომელშიც ანდრეი კოლესნიკოვის „დაუვიწყარი" სტატია გამოქვეყნდა სამაჩაბლოს კონფლიქტზე, დაბეჭდილია მილოცვა ანატოლი რიბაკოვისადმი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით. „არბატის შვილების" ავტორი ყოველკვირეულს ცაში აჰყავს. ეს გასაგებიცაა, რომანის კონცეფცია აბსოლუტურად ემთხვევა ყოველკვირეულის პოზიციას: ყველა ის ტრაგედია, რაც საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხებს გადახდა ლენინიზმიდან კი არ მომდინარეობს, არამედ შემდგომი „გაუკუღმართების" შედეგია („გამუკუღმართებლები" კი, ცადია, ქართველები იყვნენ)... ერთი სიტყვით, რიბაკოვიც, ე. იაკოვლევიც ყველაფერს აკეთებენ მკითხველის დეზორიენტირებისათვის; საჭიროა თურმე არა ფესვებიანად ამოგლეჯა ბოლშევიზმის, ისტორიის ამ ერთი ყველაზე შხამიანი სარეველისა, არამედ მისი შეკრეჭა-შელამაზება.

ზემოთ ვთქვი და კვლავ ვიმეორებ: ყველა, ვინც დღეს ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას ებრძვის, რეაქციონერი, თუმცა ბევრი მათგანი დემოკრატად ინიღბება. სწორედ ეს შენიღბულნი არიან ჩვენთვის განსაკუთრებით სახიფათონი და ამიტომ უსათუოდ უნდა შევძლოთ მათი მხილება.

დღეისათვის ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს ორ აკადემიკოსს, ა. სახაროვსა და დ. ლიხაჩოვს. მათ ლამის უწმინდეს ადამიანებად აცხადებენ, თუმცა ორივე შენიღბული რეაქციონერები არიან. ბუნებრივია, რომ ჩვენს ერს ძალიან ვნებდა და ვნებს მათი ანტიქართული დემარშები. ჩვენ შევძლებდით ამ ვნების განეიტრალებას, რომ ღრმად შეგვესწავლა როგორც სახაროვის, ისე ლიხაჩოვის ნააზრევი და საქვეყნოდ გამოგვეჩინა, რომ პირველი იბრძოდა მხოლოდ იმპერიის „განახლებისათვის" და არასოდეს არც ერთი ერის სრული თავისუფლების მოთხოვნა არ წამოუყენებია, ხოლო მეორის „დემოკრატობა" ჩანს თუნდაც ერთი ბოლოდროინდელი განცხადებიდან, რომელშიც გამოთქმულია აზრი, რომ ყველაზე ტრაგიკული შეცდომა, ყველა უბედურების სათავე არისო ის, რომ საბჭოთა კავშირის შექმნისას დააარსეს ეთნიკური სახელმწიფო წარმონაქმნები. ლიხაჩოვის აზრით, საბჭოთა კავშირი მეფის რუსეთის დარად გუბერნიად და მაზრებად უნდა დაეყო, ანუ ეროვნულ უმცირესობებს არსებული ნომინალური რესპუბლიკები და ავტონომიებიც არ უნდა ჰქონოდათ თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე. უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთიანი რუსეთი...

ერთი სიტყვით, თუ გვსურს გავიმარჯვოთ, ჯერ ერთი, უსათუოდ უნდა ვამხილოთ ჩვენი იდეური მტრები. შემდეგ უკიდურესად ენერგიული მცდელობით — საჯარო აქციებით, სასამართლოში ჩივილით, ცილისმწამებლური გამოცემათა თუ ტელეპროგრამათა ბლოკირებით — უნდა მივაღწიოთ სიმართლის გამოქვეყნებას საკავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (სხვათა შორის პროგრამა „ვრემიაზე", მგონი, უკვე გაჰრა მუქარამ მისი ტრანსლაციის ჩახშობისა საქართველოს ტერიტორიაზე. უკანასკნელ ხანს „ვრემიას" ჟურნალისტებმა ქართველი ლტოლვილები და მსხვერპლიც შენიშნეს). ბოლოს და ბოლოს ჩვენს რესპუბლიკაშიც ხომ გვაქვს რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთები! განა მათ ვიყენებთ, როგორც საჭიროა? მე მგონი არა. რატომ არ ვბაძავთ აფხაზებს, რომლებსაც წესად აქვთ დადგენილი, თავიანთ პრესაში გამოქვეყნებული ანტიქართული მასალების გაგზავნა გავლენიანი საკავშირო თუ საერთაშორისო დაწესებულებების, ორგანიზაციების, რედაქციების, რადიო-ტელევიზიათა, აგრეთვე ავტორიტეტული ადამიანების მისამართით!

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? მხოლოდ და მხოლოდ გაუთავებლად ვწუწუნებთ კრემლის ხრიკებზე. თავად კი საქართველოს მრავალრიცხოვან ცილისმწამებელთაგან არც ერთი არ გვიმხელია, არც ერთისათვის არ გაგვიცია საკადრისი პასუხი საბჭოეთის და მსოფლიოს გასაგონად. ჩვენ ვერ ვაღწევთ ამას, რადგან არ ვცდილობთ ისე, როგორც საჭიროა. რაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა იმავე „მოსკოვსკიე ნოვოსტის" თბილისელ კორესპონდენტს, აკაკი მიქაძესაც კი ვერ გავეცით საკადრისი პასუხი დეზინფორმატორობისათვის!..

**თემურ მირიანაშვილი**

---

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს ბატონ მამუკა ფაჩუაშვილს

**ბატონო** რედაქტორო, 2 მარტის „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს უფროსის ბატონ ბესარიონ გუგუშვილის ინტერვიუ „ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, თავისი ადგილი მივუჩინოთ..." ბატონი ბესარიონი გვსაყვედურობს, რომ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული მისი ინტერვიუ („კინო დიდია, პრობლემები — უფრო". 29. 01. 91 წ.), ძირითადად, კორესპონდენტის ინტერპრეტაციაა. უნდა მოგახსენოთ, რომ ის ინტერვიუ დაიბეჭდა ერთადერთი მიზნით — მხარი დაგვეჭირა ახალი ხელმძღვანელისათვის და მიგვეცა საშუალება გამოეთქვა მას თავისი მოსაზრებები (ეს მომავალშიც ასე იქნება). როგორც წესი, წინასწარ, დაბეჭდვამდე კორესპონდენტმა გააცნო მას ტექსტი და, რამდენადაც ჩემთვის კორესპონდენტისვე განცხადებიდანაა ცნობილი, მასში მთლიანად შევიდა ბატონი ბესარიონის შენიშვნები. თუ ეს ასე არ მოხდა და დარღვეულია ელემენტარული ჟურნალისტური წესი, პირადად მე ჩვენი კოლექტივის სახელით ბოდიშს ვუხდი ბატონ ბესარიონ გუგუშვილს (თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ბატონ ბესარიონის ხელნაწერიდან მნიშვნელოვანი ნაწილი თითქმის უცვლელადაა შესული ინტერვიუში. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს გაზეთში ინტერვიუს გამოქვეყნებიდან თვეზე მეტია გასული და სასურველი იყო ბატონ ბესარიონს პრეტენზიები დროზე და უშუალოდ ჩვენთვის წარმოედგინა), მაგრამ გაკვირვებას იწვევს ბატონ ბესარიონის განცხადება იმის თაობაზე, რომ მან თითქოსდა მე დამირეკა და მთხოვა გამოგვექვეყნებინა მხოლოდ მისი ნაწერი („ის, რაც ჩემია... გაუგებარი მიზეზებით, რატომღაც ძველი ტექსტი გამოქვეყნდა"). მთელის პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა, ბატონ ბესარიონ გუგუშვილს ჩემთვის არ დაურეკავს. იმდენად ვცემ პატივს ბატონ ბესარიონს და მჯერა მისი, რომ არ გამოვრიცხავ კურიოზს, რასაც ჩვენი სატელეფონო სამსახური არცთუ იშვიათად გვთავაზობს.

პატივისცემით,

**მერაბ ბალარჯიშვილი,**

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქტორი.

„საქართველოს რესპუბლიკა", 6 მარტი, 1991 წ.

## ალტერნატივა

# მიმართვა ქართველ ერს, საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პარტიას, ორგანიზაციასა და გაერთიანებას

ყველა, ვინც ცხოვრობს საქართველოში და ვინც უყურებს უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას, უყოყმანოდ დაგვეთანხმება, რომ მოცემულ ეტაპზე საქართველო იმყოფება უაღრესად მძიმე მდგომარეობაში, რაც განპირობებულია შემდეგი კონკრეტული მიზეზებით:

ა) ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში, სამაჩაბლოსა და დვალეთში მიმდინარეობს ...

... მწიფოებრივ დამოუკიდებლობას. გამოუვალი კრიზისი ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სფეროებში, რომელსაც ესოდენ მწვავედ განიცდის ქართველი ხალხი და საქართველოს კანონიერი მოსახლეობა, არის პირდაპირი და უშუალო შედეგი რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიისა, რომელიც ...

... პირდაპირი და უშუალო შედეგი აგრესიისა, ოკუპაციისა და ასეთ პირობებში შეუძლებელია არსებული მდგომარეობის სასიკეთოდ შემობრუნება, რადგან ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი დაპყრობილ ერს არ აძლევს საკუთარ მიწაწყალზე ეროვნული ნების უზენაესობის განხორციელების საშუალებას, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნდა, მიაჩნია და მომა- ...

... ერთი სხვა ორგანიზაცია პრაქტიკულად არ ახორციელებს საზოგადოების დაპირისპირებას კრემლის საოკუპაციო რეჟიმთან და არ ატარებს საპროტესტო ხასიათის პოლიტიკურ აქციებს საქართველოდან რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ე. წ. სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების გასვლის მოთხოვნით. ასეთი პოლიტიკა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის დამ- ...

ი) საქართველოს დეოკუპაცია, დეანექსია და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლით კრემლის იმპერიისა და საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც უნდა დაემყაროს მშვიდობიანი, არაშეიარაღებული წინააღმდეგობისა და ეროვნული დაუმორჩილებლობის სტრატეგიას. სხვანაირად საქართველო ვერ განთავისუფლდება.

საქართველოს ხსნა მშვიდობიან, არაშეიარაღებულ და საყოველთაო, მასობრივ ანტისაოკუპაციო მოძრაობაშია. ამ იდეისა და პრინციპების პროპაგანდა, დეოკუპაციისა და დეანექსიის საკითხის გარშემო მიტინგების, მანიფესტა- ...

... კუპაციო ჯარები;

გ) სსრ კავშირის კონსტიტუცია და კანონმდებლობა, საქართველოს დღევანდელი რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონმდებლობა საქართველოს მიმართ არაკანონიერია, რადგან საქართველოში ისინი მოქმედებენ აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში;

დ) საქართველოს მიმართ კანონიერია 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებული კრების მიერ მიღებული და დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები, რომელთა მოქმედება ხელოვნურად იქნა შეჩერებული 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს მიმართ განხორციელებული შეიარა- ...

... შირე სტატუსით ჩაწერა მიმდინარეობს სამდივნოში, რომელიც იმყოფება სედპ-ის საინფორმაციო სამსახურის აპარტამენტში, ჩვენი შტაბ-ბინის პირველ სართულზე. ყოველ პარასკევს საღამოს ექვს საათზე პარტიის შტაბ-ბინის წინ გაიმართება ბრიფინგები.

ღმერთი ფარავდეს თავისუფლებისთვის მებრძოლ ეროვნულ ძალებს!

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია**

**დანართი:** მამულიშვილნო! 1991 წელი არის 70-ე წელი საბჭოთა რუსეთის იმპერიის მიერ თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს ოკუპაციისა. ორი წლისთავი აპრილის დღეებში განხორციელებული საყოველთაო ...

---

საქართველოს რესპუბლიკის

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის შექმნის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი და მის ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეიქმნას სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 27 თებერვალი.

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარედ ა. ვ. ჯანჯღავას დანიშვნის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს ანზორ ვარლამის ძე ჯანჯღავა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 27 თებერვალი.

---

# ...მზეგრძელ იყავ, საქართველოვ!



სხვებმა 1927 წლიდან ასევე ანდერძით დაუტოვეს საქართველოს პარიზთან ახლოს შეძენილი რამდენიმე ჰექტარი მიწის ფართო- ...





... „მზეგრძელ ... ლოვ!..“

**მარინა ბოგოლაძე,**
**ეკა გიგოლაშვილი,**
**საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის II კურსის სტუდენტები.**

**ჯავარ ლომაძის ფოტოები.**

---

რეპლიკა

# რას იზამს რაისა მაქსიმოვნა?

„ორ მარტს მე ბედნიერმა გავიღვიძე, მთელი სიზმარი მახსოვდა დეტალურად. მახსოვდა მისი ყოველი ჟესტი. სიტყვა, ინტონაცია, მისი თბილი უკრაინული „გ“. მე მაშინათვე ჩავრთე ტელევიზორი იმ იმედით, რომ მას აუცილებლად ... ყველა გადაცემას მისი მონაწილეობით. მე ვინუსხები მისი იუმორით, ურთიერთობის ხელოვნებით, მისი გამოხედვით. მე ვერ ვიტან იმ სულელებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ღირსეულად დააფასონ მისი თვისებები. მზადა ვარ მივა- ...

... ვუვლიდი თუნდაც მის ნაფეხურებს. ღმერთო, მიკარნახე როგორ გავაკეთო ეს? თუნდაც ისე, არა როგორც მეუღლემ.

ამ თვეში მე შევაგროვე უამრავი მისი პორტრეტი, ვუყურებ ... ტარი არ გაუკეთა. ჩვენც ასე უხდა მოვიქცეთ, მაგრამ ერთი შეკითხვა მაინც უნდა დაისვას:

საინტერესოა, რას იზამს რაისა მაქსიმოვნა?

---

რეპლიკა

# „მამაოს“ გოდება „კნიაჟმსტვოებისა“ გამო

კვლავ ავადსახსენებელი „ვრემია“: ამერიკელი მართლმადიდებელი რუსი ეპისკოპოსი ალექსი წვერს იბღლვნის, საშინელება იქნება თუ რუსეთი ცალკეულ „კნია- ... სტოვებს, მაინც არ გამოდის საყდრიდან: სადაც რუსის ჯარისკაცის სისხლი დაიღვრება, იქ რუსეთია. მოგეხსენებათ, უბედური ფანატიკოსი საქურთხეველს დააკლეს მუ- ...

---

# საქართველოს მწვანეების კონგრესი



... ლხის, საზოგადოების დეზინფორმაციასა და შეცდომაში შეყვანას ისახავს“. რესპუბლიკის ტელევიზია, რადიო, გაზეთები, რედაქციაში მიღებულ ფოსტაზე დაყრდნობით, ძირითადად ისევ ხალხის, საზოგადოების მოსაზრებებს ასახავს ამა თუ იმ მოვლენისა თუ პოლიტიკური ძალის შესახებ. ამდენად, მტკიცება იგივე საზოგადოების დეზორიენტაციისა და შეცდომაში შეყვანის შესახებ, უსაფუძვლოა.

აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენთვის ბრალდება ქართველი ერის ხელისუფლების სტრუქტურებისადმი ქვეშევრდომული დამოკიდებულების შესახებ. დღეს, როცა ერმა 70-წლიანი კომუნისტური ძილის შემდეგ გამოიღვიძა, განაცხადა თავისი ნება, მისი ახლ „შემკობა“ მკრეხელობაა.

ვერ დავეთანხმებით იმ აზრსაც, რომ „ქართველი ერისა და საქართველოს ეროვნული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროდ არ თვლის და საერთოდ არ აწარმოებს პოლიტიკურ დაპირისპირებას უშუალოდ კრემლთან და მის საოკუპაციო რეჟიმთან“. ეს, რბილად რომ ვთქვათ, ქართველი ერისა და მის პოლიტიკურ ძალთა შეურაცხყოფაა. ცხადია, ყველას აქვს თავისი მოსაზრება, მაგრამ ყველა შემთხვევაში მას გარკვეული საფუძვლიანობა სჭირდება. ჩვენი აზრით, საქმე აქ ისაა, თუ ვის როგორ ესმის პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკური დაპირისპირება. დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საქმიანობა სწორედ კრემლის, წითელი იმპერიის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური ბრძოლის კარგი მაგალითია.

თბილისში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს მწვანეთა მეორე კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა რესპუბლიკის ყველა, ანუ 31 რაიონული, საქალაქო და სამხარეო ორგანიზაციის დელეგატი.

ცნობილია, რომ საქართველოს მწვანეების უმთავრესი მიზანია ბუნებრივი, ჰუმანიტარული და ეთნოკულტურული გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარების პრინციპების დაფუძნება — ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესება; დემოკრატიული და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნა; ერთა შორის ურთიერთობათა ჰარმონიზაცია; საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და განმტკიცება...



... — 380012, თბილი- ...

... ბაზში; კონგრესის პრეზიდიუმში. წინა პლანზეა ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი გივი თუმანიშვილი.

**ვარლამ ბენბიურის ფოტო.**
**საქინფორმის ფოტოქრონიკა.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვარდია

**საქართველოს** რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნა კანონზომიერი მოვლენაა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში, ვინაიდან დღევანდელ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის შიგნით სტაბილურ ვითარებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თუ მოქალაქეთა უფლებების დაცვას და მასობრივ ანტისაზოგადოებრივ მოქმედებების აღკვეთას.

დღევანდელი ეროვნული გვარდიის წინამორბედი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიაა, რომელიც 1917 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა წითელი გვარდიის სახელით, ხოლო მოგვიანებით კი სახალხო გვარდია ეწოდა. ეს ისეთი დროა, როცა რუსეთის იმპერია ინგრევა, მოსკოვი და პეტროგრადი ამბოხებულ ბოლშევიკთა ხელშია, ხოლო ამიერკავკასიის ფრონტი დაშლილია, რუსი ჯარისკაცები არზრუმიდან და ყარსიდან ათასობით მოედინებიან თბილისისაკენ, ქალაქში გამეფებულია ანარქია.

აი, რას წერს გაზეთი „ბორბა" № 241, 1918 წ. 12. 12. **„როცა ტფილისში შემოვიდა ფრონტიდან ყარსის პოლკი, რომელიც ჩრ. კავკასიისაკენ მიემართებოდა, ბოლშევიკებმა ამ პოლკის ჯარისკაცებში გააჩაღეს ძლიერი აგიტაცია, პოლკში იმართებოდა მიტინგები მოთხოვნებით — გამოსულიყვნენ ქუჩაში და დაემხოთ ამიერკავკასიის კომისარიატი... აგიტაციას გარკვეული წარმატება მოჰყვა, ჯარისკაცებმა გადაიფიქრეს თბილისიდან წასვლა და გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები სხვა სამხედრო ნაწილებშიც, რათა მხარდაჭერა ჰქონოდათ. 1917 წლის 23 ნოემბერს (ახ. სტილით 4 დეკემბერს) ბოლშევიკებმა გაგზავნეს ტელეგრამა პეტროგრადში, რომელშიც ნათქვამი იყო: „ამიერკავკასიაში არსებობს ნაციონალისტური ხელისუფლება ე. გეგეჭკორის მეთაურობით, ჩვენ მას გამოვუცხადეთ ბრძოლა, რადგან ვთვლით — ამიერკავკასიის კომისარიატი კონტრრევოლუციურია და მათ უნდათ რუსეთიდან ჩამოშორება. ჩვენ შეგვიძლია ბაქოს საბჭოს დახმარებით ვაიძულოთ ამიერკავკასიელი ნაციონალისტები აღიარონ საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა ხელისუფლება. ველოდებით პასუხს".**

**ასეთ შემთხვევაში 26 ნოემბერს ტფილისის საბჭომ დაიწყო წითელი გვარდიის მობილიზება, იმავე დღესვე ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭომ ტფილისის საბჭოს აღმასკომთან ერთად გადაწყვიტა ხელში ჩაეგდო იარაღის საწყობები (ვინაიდან გვარდიისათვის საჭირო იყო სამხედრო საჭურველი — ს. კ.)..."**

**„29 ნოემბერს (12 დეკემბერს ახ. სტ.) ვთხოვეთ არსენალის გამგებს 2000 შაშხანა წითელი გვარდიისათვის, მაგრამ ბოლშევიკებმა უარი გვითხრეს. საღამოთი წითელგვარდიელთა სპეციალურმა რაზმმა არსენალის დაცვა განაიარაღა და იგი უბრძოლველად დაიკავა. ამან გამოიწვია ბოლშევიკურ სამხედრო ნაწილებში დიდი აღშფოთება... არსენალს გარს შემოერტყა 218-ე ქვეითი პოლკის მე-4 ბატალიონი და ატეხა უწესრიგო სროლა, მაგრამ ისინი გაფანტულნი იქნენ, ზოგი დაბრუნდა ყაზარმაში. გარნიზონში ამჟამად სრული სიმშვიდეა"** — იტყობინებოდა ტფილისის საბჭოს № 2 ბიულეტენი 1917 წლის 30 ნოემბერს (გზ. „ბორბა", იგივე ნომერი).

გვარდიამ ჩამოყალიბების დღიდან დაუფასებელი სამსახური გაუწია თავისუფლებასა და სამოქალაქო წესრიგის დამყარებას, ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლას.

სახალხო გვარდიის სამართლებრივი მდგომარეობა მოწესრიგდა 1918 წლის 2 ივლისის კანონით, „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შესახებ", რომელიც მიიღო და დაამტკიცა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ.

კანონი შედგება პრეამბულისა და 12 მუხლისაგან. პრეამბულაში ხაზგასმულია გვარდიის დამსახურება სამშობლოს წინაშე შინაური და გარეშე მტრების მოძალებისას. შემდეგ კანონში ნათქვამია გვარდიის ძირითად მიზანზე — რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვაზე (მუხლი I). სახალხო გვარდიაში შესვლა შეეძლო რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, მაგრამ ეს მათ არ ათავისუფლებდა რეგულარულ ჯარში გაწვევიდან.

გვარდიელს შტაბისგან ეძლეოდა პირადი იარაღი და სხვა ამუნიცია, იგი ვალდებული იყო მოწოდებისთანავე თავი დაენებებინა შრომისათვის და გამოცხადებულიყო წინასწარ დანიშნულ ადგილზე იარაღით, ამავე დროს მას აკრძალული ჰქონდა ხალხის თავშეყრის ადგილებში იარაღით გამოჩენა და მისი ხმარება. საბრძოლო ან სხვა დავალების შესრულებისას გვარდიელი ემორჩილებოდა სამხედრო დისციპლინას და მასზე მოქმედებდა რესპუბლიკის ჯარის ყველა კანონი, იგი პასუხს აგებდა ჯარისკაცის მსგავსად დანაშაულის ჩადენისათვის (მუხლი 6).

სახალხო გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, მაგრამ გვარდიელის ოჯახს ეძლეოდა გარკვეული დახმარება და შეღავათები მთავრობისაგან, ხოლო ოფიცრები და ინსტრუქტორები ღებულობდნენ ხელფასს ჯარში დაწესებული ოდენობის მიხედვით.

გვარდიის ხელმძღვანელობას უწევდა მთავარი შტაბი, ხოლო რაიონებში — რაიონული შტაბები, რომლის შემადგენლობას ნიშნავდა მთავარი შტაბი. მის კომპეტენციაში შედიოდა გვარდიის ცალკეული ნაწილების უფროსების დანიშვნა (მუხლი 8).

გვარდიის შენახვა მთავრობის ხარჯზე ხდებოდა და მისთვის საჭირო თანხები სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაში შედიოდა. სამხედრო უწყება ვალდებული იყო ყველანაირად დახმარებოდა გვარდიის მთავარ შტაბს.

სახალხო გვარდიაში გაწვევა ხდებოდა მთავრობის თავმჯდომარის ან ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მიერ, საგანგებო შემთხვევებში კი მთავარი ან რაიონული შტაბების მიერ, ამავე დროს ისინი ვალდებულნი იყვნენ დაუყოვნებლივ შეეტყობინებინათ ეს მთავრობისათვის.

**„თუმცა გვარდია საუცხოოდ მოწყობილ ჯარს მოგაგონებთ, იგი მაინც არაა ჯარი. ჯარისკაცი მოწყვეტილია თავის საქმეს, თავის ხელობას და მისი ერთადერთი საქმე თოფია. გვარდიელი კი ერთსადაიმავე დროს ჯარისკაციცაა და თავისი საქმის, თავისი ხელობის კაციც. გაჩნდება საფრთხე — თოფს მოჰკიდებს ხელს და დადგება რესპუბლიკის დასაცავად, გაივლის საფრთხე — თოფს მიაყუდებს და დაუბრუნდება თოხს, ნამგალს, ჩაქუჩს.**

**გვარდიელი არის შეიარაღებული მუშა, შეიარაღებული ხელოსანი. იარაღი მხოლოდ თავდაცვისათვის — აი თვისება გვარდიელისა.**

**საომარი და სამუშაო იარაღის შეთავსება — აი თვისება გვარდიელისა.**

**სახალხო მილიცია და სახალხო გვარდია — ერთიდაიგივეა. მთელი რესპუბლიკა უნდა ვაქციოთ სახალხო გვარდიად, სხვანაირად ჩვენს პატარა ქვეყანას არსებობა არ შეუძლია"** — წერდა ცნობილი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ივანე გომართელი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1920 წლის 12 დეკემბერს. თავისუფალ საქართველოში ყოველწლიურად დიდი ზეიმით აღინიშნებოდა გვარდიის დღე — 12 დეკემბერი. ქალაქებში იმართებოდა გვარდიელთა სამხედრო აღლუმები, რომლებშიც მოსახლეობა, განსაკუთრებით სტუდენტობა, დიდი ხალისით იღებდა მონაწილეობას, რაც გვარდიისადმი დიდი სიყვარულით და პატივისცემით აიხსნება.

მთავარი შტაბის ეგიდით გამოდიოდა გვარდიელთა ბეჭდვითი ორგანო — ჟურნალი „გვარდიელი".

გვარდიას ხელმძღვანელობდა მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვლადიმერ ჯუღელი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტში თავის დროზე მწვავე კამათი იმართებოდა ხოლმე გვარდიის გარშემო. ეროვნულ-დემოკრატები სოციალ-დემოკრატებს ხშირად აკრიტიკებდნენ ფინანსების დიდი ხარჯვის გამო გვარდიის სასარგებლოდ, როცა ამ დროს „რეგულარულ ჯარს არ ექცეოდა შესაბამისი ყურადღება". რამდენად სწორია დღევანდელი გადასახედიდან მათი პრეტენზიები, მისი განსჯა მკითხველისთვის მიგვინდია, ერთს კი ვიტყვით, რომ გვარდია შეიარაღებულ ძალთა სისტემაში შედიოდა და ჯართან ერთად მის მოვალეობას სამშობლოს დაცვა წარმოადგენდა. ხოლო ხარჯთაღრიცხვა ასეთი პროპორციით იყო განაწილებული: მარტო 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბიუჯეტიდან სახალხო გვარდიას გამოეყო 69.864,536 მანეთი, ხოლო სამხედრო სამინისტროს არმიის შესანახად — 239.073 მანეთი.

გვარდია მონაწილეობდა ახალციხის, ეკატერინენფელდის ბრძოლებში; აქრობდა ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს დუშეთში, ცხინვალში, საჩხერეში. მათთვის ყველაზე მძიმე სწორედ ამ გამოსვლების ჩაქრობა იყო, ისინი იძულებულნი იყვნენ კომუნისტების პროპაგანდა-აგიტაციით გონებაარეული ოსები დაეწყნარებინათ, ასევე დაეპატიმრებინათ ასეთსავე ანკესზე წამოგებული ქართველი გლეხებიც დუშეთის აჯანყების დროს. გვარდია გმირულად შეება მტერს 1921 წლის თებერვალშიც, იგი რეგულარულ ჯართან ერთად ვაჟკაცობის მაგალითებს აჩვენებდა სადახლოსთან, კოჯორთან და წიფასთან გამართულ ბრძოლებში.

სახალხო გვარდიის გარდა 1918-1921 წლებში საქართველოში შინაგან წესრიგს იცავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეკულაციის, მძარცველობის წინააღმდეგ მებრძოლი განსაკუთრებული რაზმი, აგრეთვე ე. წ. მფრინავი (ოპერატიული — ს. კ.) რაზმი 3000 კაცის შემადგენლობით (იხ. „კანონი განსაკუთრებული რაზმის შესახებ" გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" № 7, 1918 წ. 1 აგვისტო).

თუ შევადარებთ 1991 წლის 20 დეკემბრის საქართველოს რესპუბლიკის კანონს ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონს „სახალხო გვარდიის შესახებ", დავინახავთ, რომ მათ შორის ბევრი მსგავსებაცაა და განსხვავებაც. მთავარი განსხვავება ამაშია, რომ სახალხო გვარდიის დაკომპლექტება ხდება პერიოდულად რაიმე საკითხის ან საშიში მდგომარეობის შექმნის გამო, ეროვნული გვარდიისა კი ხდება საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების საფუძველზე, ე. ი. მას შეუძლია რეგულარული ჯარის ფუნქციის შესრულებაც მომავალში (ალბათ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იგი დაემორჩილება არა შინაგან საქმეთა, არამედ თავდაცვის (სამხედრო) სამინისტროს). რა თქმა უნდა, დღევანდელი ეროვნული გვარდიის კანონის მუხლები უფრო დახვეწილია თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, ასევე შეიძლება ითქვას გვარდიაში გაწვევის და მასში სამსახურის გავლის წესების დებულებებზეც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს დებულებებიც ძალიან ჰგავს კანონს „რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ", მიღებულს 1918 წლის 20 აგვისტოს და დებულებას „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების შესახებ". ამრიგად, დღევანდელ სამართლებრივ ნორმებში ერთმანეთთან შეხამებულია გვარდიისა და რეგულარული ჯარის ორგანიზაციისა და მოქმედების პრინციპები, და ალბათ მომავალში სწორედ ეროვნული გვარდია იქნება ქართული ჯარის შექმნის საფუძველი.

ზემოთქმულს დავუმატებდი, რომ საჭიროა ქართული შეიარაღებული ძალების უახლოესი ისტორიის გამოკვლევაც, ამისათვის კი, ვფიქრობთ, უნდა გაანალიზდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროს ფონდები, რომლებიც ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივშია დაცული.

**სიმონ კილაძე,**
**თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.**

# პატრუქი იწვის!..

დათვლილი დღეები რჩება... მტერსაც დასთვლია დღეები! მაგრამ, გვინდა თუ არ გვინდა, სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ — 17 მარტს უდაოდ კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს „ცენტრის" მოთმინების ფიალა, რეფერენდუმისგან განდგომას იოლად არ გვაპატიებს!..

სულაც რომ არ გვემუქრება წინასწარ, მაშინაც მოსალოდნელია ხოლმე ცენტრისგან რაიმე ექსცესი, ხოლო, თუ წინდაწინვე გადმოგკრა ნართაულად — ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებო, რასაკვირველია, თავისას ეცდება და, შესაძლოა, ერთიც არ იკმაროს!...

კრემლი იერიშზეა გადმოსული და თუ ოდესმე გვჭირდებოდა ერთსულოვნება და ერთგულოვნება, ახლა ათასჯერ უფრო გვჭირია, რადგან არც არასდროს გვყოლია მტერი ასეთი მზაკვარი და შენიღბული, ვითომც ხალხთა დიადი მეგობრობის დროშა რომ აღუმართავს და ერთი სული კი აქვს, როდის გვშთანთქოს!..

ძნელია მშვიდობის ენაზე ელაპარაკო მათ, მით უმეტეს, შეეკამათო, რადგან, ივანე კრილოვის მგლის არ იყოს, მოგახლის — შენი ჩაკვრეხა რომ მნებავს, მიზეზად ესეც კმარაო!..

ძნელია ნორმალური, ადამიანური ურთიერთობები იქონიო მასთან, რომელსაც იმდენად დეფორმირებული აქვს სიხარბით სული, რომ სულ „მოიტა" და „მომეცი" აკერია ენაზე; მაშინაც კი, როდესაც ლოგიკა სულაც არ მოითხოვს ამას: „დავაი, დავაი, რაბოტაი!" ან „დავაი, ჟრი!" იმის მკითხავი მაქცია, რა შუაშია აქ „მომეცი" და გენიოსად ჩავთვლიდი თავს!..

ძნელია რაიმე მაღალეთიკურ ქმედებას ელოდე ვეებერთელა, დამშეული ატომური „დერჟავას" სამხედრო მინისტრისაგან (არავითარი „თავდაცვის"!), როდესაც, თურმე, დაქვრივებული წვრილშვილიანი დედამისი სიძეს, საკუთარი დის ქმარს გაჰყოლია და ორიოდ ბავშვი მისგანაც შესძენია! მართლმადიდებელი რუსისაგან მსგავსი საქციელი უცნაურია!..

ბოლოს კი, ძნელია რაიმე სასიკეთოს ელოდე აგონიაში მყოფი იმპერიის პრეზიდენტისაგან, რომელსაც უკვე შემოეხარჯა ყველა მაღალი კოზირი და „ბანკის მოხსნას" მაინც აპირებს. მისმა ზოლო გამოსვლებმა საბოლოოდ დაარწმუნა მსოფლიო, რომ, გარდაქმნის ხუროთმოძღვარსა კი არა, წყალწაღებულს უფრო ჰგავს, ხავსს რომ ეტანება ჩასაჭიდად, მაგრამ საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, აღარც ხავსი ჩანს!.. ბელორუსიაში მოგზაურობის სამი დღიური ვნახეთ და მოვისმინეთ ცენტრალური ტელევიზიით. ზედიზედ ორჯერ წამოსცდა მიხეილ სერგეევიჩს, რომ „ჩვენი ხალხების ერთობა და მეგობრობა საუკუნეებს ითვლის და რაღა დროს ჩვენი გაყოფა და დაშლააო!". მესამედ, ალბათ, რომელიღაც ექსპერტმა შენიშნა და უკვე რამდენიმე ათეული წლით შემოფარგლა სსრკ ხალხების მეგობრობა...

დიახ ახლოვდება 17 მარტი. 17-იც რაღაცნაირად საკრალური გახდა: სწორედ 17 იანვარს დაიწყო ომი სპარსეთის ყურეში, იმავე დღეს მხეცური გაშმაგებით შემოგვიტიეს ოსმა ექსტრემისტებმა. თარსი გამოდგა 17 იანვარი!

რასაკვირველია, რეფერენდუმი უნდა უკუვაგდოთ, მაგრამ სიფხიზლე გვმართებს და გონიერება!.. გონიერება თუნდაც იმიტომ, რომ ამ წერილს სადღეისოდ სხვა უნდა აწერდეს ხელს. როდესაც ამირსპასალარი ადგილზეა, რიგით ჯარისკაცს კი არა, ამირბარსაც არ ხელეწიფების სარდლობა!.. არადა, საომარი ასპარეზი აშკარად გამოიკვეთა, მთავარსარდლობა კი სამარისებურად დუმს. არაფრის მაქნისია დუმილი, თუ არ რეკავს!.. ყოველ შემთხვევაში ახლა, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ზენა ქარები ქრიან, როდესაც ვეშაპი გაფაციცებულია და ცდილობს იხელთოს მომენტი, რათა ერთიანად მოგვსრას პირისაგან მიწისა!..

ძვირფასო ოპონენტებო! თუ ძალიან მიგაყურადებთ კაცი, უკმაყოფილონი ჩანხართ, ხალხი ბრბოსავით იქცევაო. ხალხი თუ ბრბოსავით დაბნეულია და შემცდარი, თქვენ ხომ ხართ სიბრძნით აბჯარასხმულნი, რატომ არ შეუძახებთ თქვენსავე მშობელ ერს, რატომ არ გააფრთხილებთ, ფლატეზე რომ არ გადაიჩეხოს?! ოღონდ ჯერ აგვიხსენით და დაგვაჯერეთ, უფსკრულისკენ რომ მიექანება, დაგვარწმუნეთ, რომ იგი ბრმადაა მინდობილი თავისსავე კერპს, რომელიც, თქვენი აზრით, ასევე ბრმად აურჩევია!.. ხოლო, თუ კერპი თვალში არ მოგდით, ერს რაღას ემართლებით, რას ებუტებით?!

გულზე ხელი დაიდეთ და გვითხარით გულწრფელად — მართლა არ გჯერათ, რომ, რაგინდ მშვიდობიანიც ყოფილიყო სამხედრო შტაბის წინ მიტინგი, როდიონოვებს შეეძლოთ შანტაჟის პროვოცირება და მერე დარბევა!

გულზე ხელი დაიდეთ და გვითხარით გულწრფელად — მართლა გჯერათ საოკუპაციო ჯარების გაყვანა ტრანსპარანტებით, ლოზუნგებითა და, საერთოდ, მშვიდობიანი დემარშით?!

არა, ბატონებო, ჩვენი მამული ბრმად არასოდეს გაჰყოლია ვისმე! ყოველმა ჩვენგანმა, მთელმა საქართველომ მშვენივრად იცის, — რომ მხოლოდ სტიქიური, ხალხმრავალი მიტინგებით არ გათენებია მას დღევანდელი დღე!

საქართველო მუდამ ფაფარაშლილი და თავისუფლებაზე დაგეშილი გახლდათ, როდესაც ასე ახლო იყო **ბრძოლი**..

საქართველო დღევანდელ დღემდე მოიყვანა უფლისციხესთან სისხლისფერმა ყაყაჩოს წვეთმა!.. ვახტანგის, დავითის, თამარის ნაქონმა სისხლმა!

რუსთველის ქვეყანას დამფრთხალი ჰქონდა ძილი იმის ფიქრით, რომ აგერ ახლახან პატრონი სჭირდებოდა კლარჯეთს, ტაოსაც, პატრონი სჭირდებოდა „ვეფხისტყაოსანს!". რომ მოკვდებოდა პოეტი მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოს დაჰკლებოდა სიკვდილი ერთი!..

და როდესაც საქართველოს აწმყო და წარსული ერთმანეთზე გადაამრავლეთ, როდესაც „მცხეთის ქალაქს მირონი დუღდა", სწორედ მაშინ წარმოგვეწია პოეტის ყიჟინაც: საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!..

დღეს საქართველო ბენზინის ავზივითაა, რომელსაც ჩრდილოეთიდან ნაღმი აქვს შედგმული, ხოლო პატრუქი კატასტროფულად სწრაფად მოკლდება! ტფუი ეშმაკს, უაზრო ამბიციებს, ყმაწვილურ სიჯიქეს!.. ჩავჭრათ პატრუქი!.. ვუშველოთ საქართველოს!..

**ბიჭო ზარზაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა


## მოქალაქეთა და ორგანიზაციათა საყურადღებოდ!

იჩქარეთ! შეიძინეთ „ივერთბანკის“ აქციები!

აქციები დაიცავს თქვენს სახსრებს მოსალოდნელი ფულადი ანაბრებისა და ფონდების ანგარიშებზე გაყინვისაგან! აქციები შეიძლება შეიძინოთ როგორც ნაღდ ანგარიშზე ისე გადარიცხვით. აქციების ნომინალური ღირებულებაა ათასი მანეთი, ათი ათასი და ასორმოცდაათი ათასი მანეთი.

აქციების შეძენაში უპირველესობა ენიჭება „ივერთბანკის“ კლიენტებსა და მეანაბრეებს!

იჩქარეთ! გაყინულ ანაბრებს ყოველთვის ჯობია მოძრავი აქციები!

იჩქარეთ! ყოველწლიურად თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ არანაკლებ 10% მოგება (დივიდენდები)!

ჩვენი მისამართია: 380008 ქ. თბილისი ჯორჯიაშვილის ქ. 14.

ტელეფონი: 99-52-40, 99-57-21.

## წიგნის მოყვარულთა საყურადღებოდ!

კოოპერატივი „არმაზი-88“ გაცნობებთ, რომ ხელმომწერთა მოთხოვნით ხელმოწერა სხვადასხვა ავტორთა ათტომეულზე (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 15 იანვარი 1991 წ.) გაგრძელებულია 22 თებერვლამდე (მისამართი: მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი“).

საფოსტო გზავნილით ხელისმომწერთა საყურადღებოდ: ხელმოწერის თანხა (10 მან.) არ შედის წიგნების ღირებულებაში.

**კოოპერატივის გამგეობა.**

## ძვირფასო ქალებო!

სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივი „ბიოტრონის“ მიერ შემოთავაზებული ფეხმძიმობის დამდგენი ტესტი დაგეხმარებათ ფეხმძიმობის სწრაფ და დროულ დადგენაში. ტესტი გამოიყენება სახლის პირობებში, ხმარებაში მარტივია, არ მოითხოვს სპეციალურ სამედიცინო მომზადებას და სწორი პასუხის სრულ გარანტიას იძლევა. ტესტი აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. ტესტი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისის მაღაზიების პარფიუმერულ სექციებში.

## გეპატიჟებათ საქართველოს ეროვნული ქორწინების სააგენტო!

თუ გსურთ ოჯახის შექმნა, ახალი მეგობრების შეძენა, მიმართეთ საქართველოს ეროვნული ქორწინების სააგენტოს.

რესპუბლიკაში უდიდესი საქორწინო კართოთეკის თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის, ანკეტირების საშუალებათა გამოყენებით სააგენტო რამდენიმე თვეში შეგირჩევთ გაცნობის შესაფერის ვარიანტებს.

სააგენტოსთან თანამშრომლობენ გამოცდილი ფსიქოლოგები, სოციოლოგები, დემოგრაფები, მედიცინის დარგის სპეციალისტები. მომსახურება ანონიმურია.

სააგენტოს ანკეტები შეგიძლიათ შეიძინოთ ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში, ამასთანავე განაცხადები მიიღება სააგენტოს მისამართზე: **380004, თბილისი — 4, სააბონენტო ყუთი — 114.**

იჩქარეთ! ბედნიერი წყვილების, მეგობრების რაოდენობა დღითი დღე იზრდება.

**საქართველოს ეროვნული ქორწინების სააგენტო.**

რეკლამა

მრავალდარგობრივი ფირმა „ორიონი“ იწვევს ყველა მარკის ინდივიდუალური ავტომანქანების მძღოლებს მგზავრების გადასაყვანად. გადასახადი თვეში 40 მანეთია.

მანქანებს მოემსახურება ფირმა „ავტოსერვისი“.

ჩვენი მისამართია: ვერის პარკი, კრივის დარბაზი (II სართული) ფირმა „ორიონი“.

## ფირმა დაგეხმარებათ!

თუ გსურთ შეიძინოთ, საბაზროსთან შედარებით შეღავათიან ფასებში, საზღვარგარეთული წარმოების საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები (კონდიციონერები, მაცივრები, მტვერსასრუტები, საქსოვი მანქანები, სარეცხი მანქანები, სამზარეულო კომბაინები, მიკროტალღური ღუმელები), ტელე — და ვიდეოაპარატურა (ტელევიზორები — ეკრანის ზომა 36 სმ-დან 72 სმ-მდე), ვიდეომაგნიტოფონები, ვიდეოკამერები, ვიდეოკასეტები, კომპიუტერული ტექნიკა, ორგტექნიკა და კავშირგაბმულობის საშუალებები (კომპიუტერები ნებისმიერი პერიფერიული მოწყობილობით, ტელეფაქსები, ქსეროქსები, დიქტოფონები, სატელეფონო აპარატები, საბეჭდი მანქანები, კალკულატორები, ავტომობილის მაგნიტოფონები), აგრეთვე ავტომობილები, სპორტული ტრენაჟორები, სამაგიდო სტამბები, სხვადასხვა დანიშნულების დამამუშავებელი ცენტრები (საბუღლი, სალარავი, სახარატო სამუშაოების საწარმოებლად) მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, შრომის სასახლე (გიორგი სააკაძის მოედ.), II სართ. ოთ. № 211. ტელ.: 38-67-07.

ანგარიშსწორება როგორც ვალუტით, ისე საბჭოთა მანეთებით, გადარიცხვით ან ნაღდი ანგარიშსწორებით.


## ეპოქის დოკუმენტი

**ვფიქრობთ**, ამ წერილს, რომელიც ლენინგრადელმა ს-მ 1943 წლის 3 აპრილს, ბლოკადაში მყოფი ლენინგრადიდან გაუგზავნა თავის ევაკუირებულ ახლობლებს, კომენტარი ნაკლებად სჭირდება:

„გამარჯობათ ძვირფასო მარიუსია, გალინკა და ნატალია ალექსეევნა. გიძღვნით საუკეთესო სურვილებს.

მე „კვალიფიცირებული“ დონორი გავხდი. უკვე ორჯერ გავიღე სისხლი. 20. II — 250 გრ. და 2. IV — 200 გრ. ამ ღონისძიებით მე ვეხმარები საუთარ თავსა და ფრონტს. სისხლის პირველი გაღების დროს მე მივიღე კარგი სადილი და ფულიც — 60 მანეთი ყოველ 100 გრამ სისხლში.

მეორე გაღების დროს მივიღე:

1. კარგი სადილი — 50 გრ. კარაქი, 100 გრამი კონფეტი, ხორცის სუპი, ლობიო, ბრინჯისფაფიანი კონსერვები, ყავა და 400 გრამი პური.

2. თვის ულუფა: ფუნთუშები — 3 კგ., ერბო — 900 გრ., შაქარი — 750 გრ., კონფეტები — 900 გრ., ხიზილალა 375 გრ., კვერცხის ფხვნილი — 165 გრ., ბრინჯი — 900 გრ., ხორცი — 1200 გრ.

3. როგორც ყოველთვის ფული — 60 მანეთი ყოველ 100 გრამ სისხლში.

3 მარტი დედაჩემის დაბადების დღე იყო. დავპატიჟე დეიდა პანია, გვქონდა ცოტა არაყი, ის დღეც კარგად აღვნიშნეთ. მე მაძღარი ვიყავი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გიხსენებდით და ვფიქრობდით, რომ თქვენც შეგხვდებოდათ ალბათ, რაიმე, განსაკუთრებით გალინკას, როგორც მწერ, კონფეტებზე ხშირად ფიქრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ ძალიან შორს ხართ, სხვა დანარჩენი კი მხოლოდ ფიქრებია...“

**გაზეთი „ნევსკოე ვრემია“, 23 თებერვალი, 1991 წ.**

## სხვა გაზეთებიდან

# ცენტრი ცაიტნოტშია

### ანუ ორიოდე სიტყვა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყრილობის წინ

ჭადრაკის ფიგურათა შორის პაიკი ყველაზე სუსტია, მაგრამ მას შეუძლია ბოლო ჰორიზონტალზე გასვლის შემთხვევაში ძლიერ ფიგურად გადაიქცეს. გახდეს, ვთქვათ, მხედარი, კუ, ეტლი ან ლაზიერი.

შეიძლება ითქვას, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ უკვე მიაღწია ბოლო ჰორიზონტალს. ახლა არჩევანი მხოლოდ მასზეა.

შეუძლია, დაყოვნდეს, მაგრამ სადაა გარანტია, რომ მის ლტოლვას ბოლო ჰორიზონტალისკენ, „თავისუფლებისაკენ“ ადგილზე არ „გაყინავენ“.

შეუძლია, გადადგას ეს ნაბიჯიც და გახდება...

გახდება სულ სხვა ფიგურა. ვთქვათ მხედარი, კუ, ეტლი, შეიძლება ლაზიერიც, მაგრამ არამც და არამც კვლავ პაიკი!...

ხვალ ყრილობაა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყრილობა. მან უნდა გადაწყვიტოს ბოლო საკონტროლო სვლის ბედი.

მოსაზრებები სხვადასხვაგვარია. ბევრი პირდაპირი გამოყოფის მომხრეა, ბევრი თვლის, რომ ამ ნაბიჯის გადადგმამდე ყველა ნიუანსი უნდა იქნეს გათვალისწინებული, არიან მოწინააღმდეგენიც.

შარშან ამგვარი ნაბიჯი თავისუფლებისკენ უკვე გადადგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, რომელიც წელიწადზე მეტია, ავად თუ კარგად, საკუთარ ბილიკს საერთაშორისო სარბიელისკენ თავადვე იწალდავს.

მართალია, ამ ხნის მანძილზე იყო სასტიკი შემოტევები, თავდასხმები, მაგრამ ქართულმა ფეხბურთმა გაუძლო. ახლა სხვების ჯერია.

საქართველოს მოჭადრაკეები ხვალ განსაზღვრავენ თავიანთ მომავალს, ხვალ დასახავენ სტრატეგიულ გეგმას. როგორი შეიძლება იყოს იგი?

თქმა არ უნდა, მხოლოდ დამოუკიდებლობისაკენ, მხოლოდ თავისუფლებისაკენ მიმავალი.

აქ, ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა — რას იზამს ცენტრი? რა პოზიციას დაიკავებს საკავშირო საჭადრაკო ფედერაცია?

შეიძლება ითქვას, ახლა ცენტრი ძლიერ ცაიტნოტშია, თანაც საკმაოდ მყიფე პოზიცია აქვს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ცენტრმა ძლიერი საჭადრაკო რესპუბლიკების ამგვარ ლოგიკურ და მასირებულ შეტევას გაუძლოს. ალბათ, აქედან გამომდინარე, უნდა იმოქმედოს ფიდემაც. მან შეიძლება გარკვეული ხანი არ გაგვაწევრიანოს საერთაშორისო ფედერაციაში, მაგრამ არა მგონია დიდხანს გაგრძელდეს ფიდეს გაჯიქება.

თუმცა ვნახოთ, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. დაველოდოთ ყრილობის გადაწყვეტილებას.

**დიტო ჯუმითელი**

# „ქართული სიმღერა და ქორეოგრაფია — 91“ კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება

## ფინალურ კონკურსზე დაშვებულთა სია დღეების მიხედვით:

**21 თებერვალი**

თბილისი მოც. კოლექტივი „როკვა“
„ ნინო“
„ „ „ „ფარცა“
„ „ „ „იმედი“
„ „ „ ხელ-ლი შ. კობეშავიძე
მესტია, ს. ლატალი გუნდი
ლაგოდეხი, ს. ცოდნა გუნდი ხელ-ლი შ. დარჩიაშვილი
თ. ცაგურიას ოჯახი
სამტრედია ვოკ. ანსამბლი „სანავარდო“
გალი ვოკ. ანსამბლი ვ. ოკუჯავას ხელმძღვანელობით
თბილისი სოლისტი ნ. კრავეიშვილი
„ „ ვ. ლუარსაბიშვილი
„ „ უსინათლოთა საზოგადოების გუნდი
გალი ვოკალური ტრიო
ქარელი სოლ. ა. მიხანაშვილი
თბილისი მედმუშაკთა ვ/ა „ორბი“
რუსთავი ვ/ა „ათინათი“
ზესტაფონი ვია სოლისტი სულამანიძე
თბილისი სოლისტი რ. მუმლაძე
„ ხელ. სკოლა კვინტეტი
„ „ „ სოლისტი ნ. სურგულაძე

**22 თებერვალი**

თბილისი მოც. ანსამბლი „ივერია“
„ „ „ „მერანი“
გურჯაანი „ „კახეთი“
თიანეთი „ „
ქუთაისი ბავ. გუნდი „იმედი“
საგარეჯო შსს დაცვის გუნდი
რუსთავი ბავ. გუნდი „ჩაკრულო“
ლანჩხუთი ვოკ. ანსამბლი „ხელხვავი“
თბილისი ვ/ა „თბილისი“
თბილისის ვ/ანსამბლი „გრემი“
ხარაგაულის რ-ის სოფ. ქიცხის ვ/კვინტეტი
წყალტუბოს გოგონათა ანსამბლი
მცხეთა სოლ. ო. ჩოჩოა
თბილისის სოლო თ. მელიქიშვილი
თბილისი „ მ. ბედიაშვილი
„ „ ქ. ოქროპირიძე
„ „ ანს. „ხმები“
„ სოლ. ნ. მემანიშვილი
„ ანს. „თაიგული“
ჯ. რობაქიძის ოჯახური ანს.
სამტრედიის მეჩონგურეთა ანსამბლი

**23 თებერვალი**

რ. გოგოლაძის ოჯახური ანსამბლი
ქვანიების ოჯახური დუეტი
გორის ვ/კვარტეტი „რეტრო“
„მხოლოდ შენ ერთს“
ვია „ნატვრის ხე“
კონსერვატორიის გოგონათა კვარტეტი
თბილისი სოლ. ბ. შარაბიძე
გურჯაანი ნ. ქადაგიშვილი
ბათუმი გოგონათა კვარტეტი
თბილისი ტრიო ო. ბერძენიშვილი
„ „ სოლო ნ. ბელქანია
თიანეთი ჯ. თვალალაშვილი
თიანეთი ქ. ჩარგვიშვილი
მოსწ. მოც. ანს. „იბერია“
ბათუმი „ცისკარი!“
ბათუმი გოგონათა მოც. ანსამბლი
ბათუმი მოც. დუეტი
თერჯოლა გუნდი „იმერეთი“
ამბროლაური გუნდი (ხელ-ლი რ. გოგოლაძე)
რუსთავი ბ/გუნდი „ჰერეთი“
ვ/ანსამბლი „ჟურნალისტი“
ქალთა ვ/ანსამბლი „მზეთამზე“
სოლ. ს. თათარაშვილი

## ძვირფასო თანამემამულენო!

მოგმართავთ თხოვნით, ვიხსნათ კიდევ ერთი ახალგაზრდის **დარეჯან გალაქტიონის ასულ გაგუას** სიცოცხლე.

საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასამგზავრებლად საჭიროა გარკვეული თანხა. მის სახელზე გახსნილია ანგარიში — სსრკ ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო, № 063120528, კოდი 521017 (საბჭოთა მანეთები); ვალუტისათვის — საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო, № 670820288, საგარეო ეკონომიკური ბანკის საქართველოს განყოფილება, კოდი 521727. ამ ანგარიშზე შეგიძლიათ გადარიცხოთ, როგორც საბჭოთა მანეთი, ასევე ვალუტა.

# აღორძინება არგო

გვერდს ხშირხილება არის საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქველმოქმედი თანამემამულენო!

სამ წელზე მეტია ლელა დავითის ასული ჭელიძე იმედის თვალით შესცქერის ექიმებს, რომლებიც უძლურნი აღმოჩნდნენ განკურნონ საშიში დაავადება, რომელიც ლეიკოზის სახელითაა ცნობილი მედიცინაში.

იყოჩაღეს ლელას მოსწავლეებმა, უახლოესმა გულშემატკივრებმა, კეთილშობილმა უცნობმა ადამიანებმა და მის სახელზე ჩოხატაურის აგრომრეწვებანკში გახსნილია საქველმოქმედო ანგარიში — 71101. ამ ანგარიშზე ჯერჯერობით ჩარიცხულია დაახლოებით იმ თანხის მეათედი, რაც საჭიროა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად და სამკურნალოდ. ამ ანგარიშზე შეგიძლიათ გადარიცხოთ როგორც საბჭოთა მანეთი ასევე ვალუტა.

იქნებ გაგიჩნდეთ სურვილი — საპატიო წვლილი შეიტანოთ 32 წლის ახალგაზრდის სიცოცხლის გადარჩენაში. გწამდეთ, რომ კეთილი საქმე არ იკარგება. სანთელ-საკმეველი ყოველთვის იპოვის თავის გზას...

შეგახსენებთ ანგარიშის ნომერს — 71101

ჩოხატაურის აგრომრეწვბანკი

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკვეთად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკს“.

მისამართი: ბუდაპეშტის ქ.№1

ტელეფონი: 37-06-64 ან 37-58-25 ( 11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („ვცვლი ბინას“, „გვესაჭიროება“, „ვყიდი“, „ვყიდულობ“, „ვასწავლი“, „ვაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრში 4 მანეთია, კერძო პირებისათვის იგივე ფართი — 2 მანეთი.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## უ-შუს ინსტრუქტორთა საყურადღებოდ

1991 წ. 7 მარტიდან 10 მარტის ჩათვლით თბილისში, პროფკავშირების სასახლის სპორტდარბაზში, საქართველოს უ-შუს ეროვნული ფედერაცია აწყობს უ-შუს ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს (პირველი ეტაპი). სემინარებზე შესწავლილი იქნება საერთაშორისო ასპარეზობების სავალდებულო პროგრამით გათვალისწინებული კომპლექსები, ამავე კომპლექსებში იქნება შეჯიბრება საქართველოს უ-შუს ჩემპიონატზეც. სრული კურსის დამთავრების შემდეგ მონაწილეებს მიეცემათ საქართველოს უ-შუს ეროვნული ფედერაციის ინსტრუქტორთა წოდებები და შესაბამისი დიპლომები.

ფედერაციის წევრებისათვის სემინარებზე დასწრება უფასოა. მსურველებს შეუძლიათ მობრძანდნენ 7 მარტს დილის 10 საათზე პროფკავშირების სასახლის სპორტდარბაზთან (მეტრო „დელისის“ უკან).

სემინარის სპონსორია კოოპერატივი „ოდა“.

ფედერაციის პრეზიდიუმი

## ფირმა „თორის“ სამედიცინო ფილიალში

მათ, ვისაც აწუხებს შარდ-სასქესო სისტემის მწვავე და ქრონიკული დაავადებები (ურეთრიტი, ცისტიტი, ქრონიკული პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე), შეუძლიათ მიმართონ ალექსანდრე ჭავჭავაძის №2 (ოპერის პირდაპირ) მდებარე მე-18 პოლიკლინიკის ბაზაზე არსებულ ფირმა „თორის“ სამედიცინო ფილიალს, რომელიც ფირმის მიერ აღჭურვილია ელექტროსტიმულატორ „ინტრატონით“, რომელიც საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება ქრონიკული პროსტატიტისა და იმპოტენციის სამკურნალოდ (პრაქტიკული გამოჯანმრთელება მიიღწევა შემთხვევათა 80-90%-ში). პროცედურები უმტკივნეულოა. აღნიშნული პათოლოგიების მკურნალობა ხდება აგრეთვე თანამედროვე საზღვარგარეთული პრეპარატების გამოყენებით, ხალხური მედიცინის აღიარებული მეთოდებით, ბიოსტიმულატორებით, სამკურნალო ფიზკულტურით.

აქვე ჩატარდება სრულყოფილი ლაბორატორიული გამოკვლევები.

ცნობებისათვის მიმართეთ: ალ. ჭავჭავაძის ქ. №2, მე-18 პოლიკლინიკა, კაბინეტი №22. 17.00 საათიდან.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

## მიმდინარეობს მიღება

მსუბუქი ავტომობილების მძღოლთა მომზადების მოკლევადიან კურსებზე.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 68-39-30 (14.00 სთ-დან 19.00 სთ-მდე).

მისამართი: გლდანის მე-3 მ/რ, კორპუსი 74ა.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## ფირმა „ჯაკო“

რომელიც აწარმოებს შენობა-ნაგებობების სახურავების კაპიტალურ რემონტს, დაინტერესებულ ორგანიზაციებს, წარმოება-დაწესებულებებს, კოოპერატიული სახლების თავმჯდომარეებს და კერძო პირებს აცნობებს, რომ შეუძლიათ დაგვიდონ ხელშეკრულება. ცნობებისათვის დარეკეთ თბილისში ტელეფონებზე:

74-54-25 9.00—18.00 სთ-მდე, ყოველდღე ან
74-74-17 19.00—23.00 სთ-მდე, ან
67-09-03 19.00—23.00 სთ-მდე

ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე. დამკვეთს შეუძლია გამოიყენოს მისი კუთვნილი მასალა.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

### ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის

## პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1991 წლის მისაღები გამოცდები, სპეციალობების მიხედვით ჩატარდება შემდეგ დისციპლინებში:

1. მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), შემდეგ სპეციალობებზე:

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; სამსხმელო წარმოების მანქანები და მოწყობილობა; ლითონების წნევით დამუშავების მანქანები და მოწყობილობა; სამშედუღებლო წარმოების მანქანები და მოწყობილობა; ტექნოლოგიური პროცესების და წარმოების ავტომატიზაცია; სამრეწველო ელექტრონიკა; შიგაწვის ძრავები; ავტომშენებლობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა; საგზაო სამშენებლო და ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობა, კვების მრეწველობის მანქანები და აპარატები; ხის დამუშავების ტექნოლოგია; მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ხარისხის მართვა; ელექტროენერგეტიკა (ჰიდრო, მზის და ქარის ენერგეტიკა); მანქანების დინამიკა და სიმტკიცე; გამოყენებითი მათემატიკა და სისტემური ანალიზი; საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მანქანები და აპარატები.

II. მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა) შემდეგ სპეციალობებზე:

პურის, მაკარონის, საკონდიტრო ნაწარმისა და კვების კონცენტრატების ტექნოლოგია; საზოგადოებრივი კვების პროდუქტების ტექნოლოგია; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება; ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა; ვამომყვანი წარმოების და მოწყობილობების ქიმიური ტექნოლოგია; ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის ტექნოლოგია; სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია და კონსტრუირება; საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკა და მართვა; პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგია; პლასტიკური მასების და ელასტომერების გადამუშავების ტექნოლოგია; ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია და კონსტრუირება.

შენიშვნა: გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა). ჩატარდება ახლებურად: აბიტურიენტები დაწერენ არა ერთ თხზულებას, არამედ უპასუხებენ სამ კონკრეტულ საკითხს პროგრამის ფარგლებში.

დაწვრილებითი ცნობები მისაღები გამოცდების ჩატარების შესახებ გამოქვეყნდება დამატებით.

მიმღები კომისია.

ახალგაზრდა ივერიელი
«Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მიხალები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ბოშარიულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380008
მ. კოსტავას ქ. № 14.